



საბჭოეთის საგარეო ურთიერთობები

ს.ს.ს.წ.
სსრკ-ს საგარეო ურთიერთობების
მინისტრის
გამოცემით

→ შინაგარეობა ←

- ი. ვარძიელი — სასამართლო და პროკურატურა ამიერ-კავკასიის სოფელში.
- ა. კაჭარავა. — საჭიროა ბრძოლა სასამართლოების მუშაობის დამაბრკოლებელ პირობებთან.
- ნ. სააკიანი — გავამტკიცოთ რევოლუციური კანონიერება.
- ა. კუხიკიანი. — სარჩელი დაკარგული თამაშებით.
- კ. მიქელაძე — სცნობს თუ არა საბჭოთა სამართალი მფლობელობის სარჩელს?

ბერძენი მართლმადიდებლის მასალინათვის.

ბ. ქავთარაძე. — თვით მასალა.

სასამართლო და ცხოვრება.

- ბ. გურგენიძე. — ამხ. კალანდაძის წერილის გამო.
- ა. კალანდაძე. — პასუხად ბ. გურგენიძეს.
- გ. ხაყვარელიძე. — მათრახსაც მოხმარება უნდა.
- ელ. — მათრახის მოხმარების „სპეცს“.

ფოსტა.

კანონმდებლობის მიმოხილვა.

ოფიციალური ნაწილი.

№ 7
აპრილი
1928

1928 წლის 1 იანვრიდან

გ ა მ ო დ ის ს. ს. ს. წ. იუსტიციის სასაქონლო კომისიისათვის

ორპირიული ორბანო

„ს ა ბ ჯ ო ტ ა ს ა მ ა რ ტ ა ლ ი“

„საბჭოთა სამართალი“ ისახავს მიზნად გაუწიოს იტყუარი ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააშუქოს სასამართლო-საგამართლო საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა ომუშავეთ საანადო მასალის მიწოდებით. ადამ საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარებით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი კენიტიანდიარულ, სამილიციო და სისხლის სამართლის სამეცნიერო მილიციის მუშაობას.

გარდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის აგრეთვე

შემდეგი განყოფილებები:

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალში თანაშემდეგად შემდეგი კანონები:

(ანბანზე)

ალხოვი ა., ამადლობელი ს., ანდრონიკაშვილი ლ., ბაზოვი გ., გაბაშვილი დ., გალუსტიანი ა., დოლიძე თ., ვარდანიანი ს., ვარძიელი ი., ვაჩიშვილი ა., იუზბაშვილი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., კუხიკოვი ა., ლუნ-კევიჩი ვ., მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი გ., ნუცუბიძე შ., პავლიაშვილი ი., პლეტნიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ. სიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი., ტატიშვილი ე., ქავთარაძე პ., ქორჭაშვილი მ., შავერდოვი ა., შურღაია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვარძიელი

სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, პროფ. შ. ნუცუბიძე, _____
_____ ი. როინაშვილი, ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3 მ.

ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმომწერა არ მიიღება.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32 ტელეფონი № 13—68.

34(05)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ს. 13.

რედაქციის და კანსტორიის
მისამართი:

თფილისი, ტრიუმფალის
ძ. № 32

ტელ. № 13-68

ხელისმძვინვარის ფასი:

წლიურად — 10 მან.

6 თვით — 5 მ. 50 კ.

3 თვით — 3 მ.

1 ნომერი 50 კ.

საბჭოთა საშრომელი



1 აპრილი 1928 წ.

№ 7

სასამართლო და პროკურატურა ამიერკავკასიის სოფალში*

როდესაც სოფლის ყოფა-ცხოვრებაზე ვლაპარაკობთ ჩვენი სასოფლო პოლიტიკის საკითხებს ვიხილავთ, შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ სასამართლოს ძირეული საკითხისა, რადგან საბჭოთა სასამართლოს და პრაქტიკული მუშაობა ადგილობრივ შუამდგომლობებს ჩვენი საერთო მუშაობისა სოფლად. მისი ყოფა ცხოვრებაში ვერ მონახავთ ვერც-ერთ შემთხვევას, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებული არ იყოს სასამართლო აპარატის მუშაობასთან. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვხვებით კულტურის საკითხებს, სოფლად პოლიტიკის დირექტივების გატარების საკითხს, კოლექტივიზაციის პრობლემას, კულაკთან ბრძოლას, საშუალო და პატარა გლეხობის კავშირის კულაკის წინააღმდეგ, განხილვის საკითხს, განსაკუთრებით, სოფლის ყოფა-ცხოვრების და სხვ. საკითხებს, სრულებით ბუნებრივია, შევიძლება ცოტად თუ ბევრად არ შევეხოთ იუსტიციის განხილვით მუშაობას. განსაკუთრებით საჭიროა ეს ახლა, როდესაც სოფლად და ქალაქად ვხედავთ ეკონომიურ პოლიტიკის ზრდას — აქედან-კი: გართულებულ ეკონომიურ ვითარებაში ურთიერთობათ სოფელში, ბრძოლას სოციალისტური წარმოებისა და სოციალისტური მეურნეობის განხორციელების კაპიტალისტურ ტენდენციების წინააღმდეგ, განხორციელება.

ქალაქში — მუშისა, სოფლად — გლეხის მრავალგვარი სასამართლო-ეკონომიურ და უფლებრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების აუცილებლობა; სოფლის მოსახლეობის ურთიერთდახმობა და აქედან — როგორც უკვე ვთქვა — სასამართლო და ღარიბი გლეხობის კავშირის განმტკიცება, კულაკის იზოლაცია — ყველა ამ საკითხში სახალხო სასამართლოები, ძირეული სასამართლო აპარატი და პროკურატურა განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. რადგან, როგორც ვხედავთ, კულაკი თავის შეტევას სოფლად ეკონომიურ ფრონტზე-კი არ აწარმოებს, არამედ სახალხო ხშირად მას ტერორის სახეს აძლევს. მთელ რესპუბლიკებში ჩვენ მოწამენი გავხდით სასამართლო პოლიტიკის ღარიბი გლეხობის წინააღმდეგ მიმართული კულაკური ელემენტების მიერ მოწყობილი ტერორის-აქტების გამო.

ამაგან განსაკუთრებით ხშირია მიწის ყიდვა-გაყიდვა. მიწის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევათა რიცხვი არა თუ კლებუბრუნდა, არამედ ზოგიერთ რაიონში მატულობს კიდევ. ეს მოვანი — სოციალისტური ტენდენციების განმტკიცების საფრთხისათვის, სოფლად სოციალისტური ელემენტების დირექტივისა და განსაკუთრებით კულაკთან ბრძოლის

თვალსაზრისით — არ შეიძლება საშიშარ მოვლენად არ ჩავთვალოთ.

სასამართლოს ორგანოების ამოცანა — დაცვა ეკონომიური, უფლებრივი და პოლიტიკური ინტერესები მოკავშირისა, რომელიც ვითარდება სოფლის ეკონომიური ურთიერთობის ნიადაგზე. ამასთან დაკავშირებულია იმ კაბალურ გარიგებებთან ბრძოლა, რომელთაც ხშირად აქვთ ადგილი ჩვენი სოფლის ცხოვრებაში.

შემდეგ — რას ვხედავთ კიდევ? ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანოთა სისუსტის გამო ფეხი მოიკიდა დაუძლიებელ მეფახშეობამ. სარგებლობენ რა ამ ორგანოთა სისუსტით, კულაკური ელემენტები აძლევენ გლეხს სხვადასხვა სახის სესხს (ფულადსა თუ ნატურალურს) — 100 — 120 — 150 % — ში.

შემდეგ — საკითხი გაფლანგვასა და გატაცებასთან ბრძოლისა, განსაკუთრებით კოოპერაციაში; თქვენ იცით, რომ მსხვილმა გაფლანგვამ და გატაცებამ თითქოს იკლო ჩვენში. ამჟამად ჩვენ ვხედავთ უფრო წვრილსა, მაგრამ უფრო საშიშარ გაფლანგვა-გატაცებას, რასაც ადგილი აქვს მეტწილად ჩვენ დაბალ კოოპერატიულ ორგანიზაციებში.

ღლის წესრიგში სდგას ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხი. როგორც იცით, პარტიის მე-15 ყრილობამ მოგვცა დირექტივა — ვებრძოლოთ „ვოლოკიტას“ თვით სასამართლოში და სასამართლო ორგანოების საშუალებით განვდევნოთ ბიუროკრატიზმი და „ვოლოკიტა“ აგრეთვე სხვა დაწესებულებებიდან. ამაზე ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ამას მოსდევს ბრძოლა ისეთ დანაშაულთან, რაც ადგილობრივი ყოფა ცხოვრების თავისებურების ნიადაგზე წარმოიშობება და რომლითაც განსაკუთრებით მდიდარნი ვართ ჩვენ, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, მაგალითად, მკვლელობა სისხლის ასაღებად, ქალის შოტაცება და სხვადასხვა.

სასამართლოს წინაშე მეტად დიდი ამოცანები დგას; ტყუილ-უბრალოდ ხომ არ სთქვა მე-14 კონფერენციამ ამ ორიოდ წლის წინეთ, სთქვა ნათლად და გარკვეულად, რომ რევოლუციური კანონიერების განხორციელება — აუცილებელი პირობაა სოციალიზმისაკენ წარმატებით წინსვლისათვის. ამრიგად, მე-14 კონფერენციამ პირდაპირ დაუკავშირა სოციალიზმისაკენ წარმატებითი წინსვლა რევოლუციური კანონიერების სწორ გატარებას.

ყოველივე ზემონათქვამიდან ჩანს, რომ ჩვენ სახალხო სასამართლოების წინაშე დიდი და რთული ამოცანები დგას; ეს სასამართლოები კი ისეთ მატერიალურ და მორალურ მდგომარეობაში არიან, რომ ხში-

* სიტყვა წარმოთქმული აშხ. ი. ვარძიელის მიერ სოფლის მუშის მეორე პლენუმზე კომპარტიის ა. კ. საოლქო კომიტეტთან. იხილეთ შემოკლებით.

რად კოკლობენ და ბორძიკობენ და ზოგან ვერ ასრულებენ იმ ამოცანათა მეოთხედ ნაწილსაც, რაც მათ აქვთ დაკისრებული.

მე მინდა შეეჩერდე იმ შთავარ მიზეზებზე, რომელთა გამო კოკლობს და სუსტდება ჩვენი სახალხო სასამართლო. უპირველეს ყოვლისა, მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება სახალხო სასამართლოთა ქსელს. (მე მოვანხებებთ 3 რესპუბლიკის შესახებ და უნდა იცოდეთ წინდაწინ, რომ ის ცნობები, რომელთაც მე მოვიყვან, თითქმის ერთნაირად შეეხება სამივე რესპუბლიკას, რადგან ჩვენ სასამართლოებს ყველგან თითქმის ერთნაირი სატყვიარი აქვთ). ჩვენი სახალხო სასამართლოების ქსელი იმდენად მცირეა, რომ ვერ ასდის მოსახლეობის ყველა მოთხოვნილებებს. მაგალითად საქართველოში თითო სასამართლო უბანზე მოდის 28-დან 30 ათასამდე კაცი, ამასთან 2-3 სახალხო სასამართლოზე—მხოლოდ ერთი სასამართლო აღმასრულებელი. ხომ მოგეხსენებათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების თვის დროზე ასრულებას?! თუ სასამართლოს განაჩენი და გადაწყვეტილება თავის დროზე არ შესრულდა, სასამართლო ორგანოების მუშაობას სრულებით დეკარგება აზრი, რადგან ეს განაჩენები და გადაწყვეტილებანი მხოლოდ-ღა ქალაქებზე დარჩება. აი ამიტომ ვაკუთვებთ ჩვენ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას სასამართლოს გადაწყვეტილების ასრულებას.

სომხეთში ამ ბოლო დროს მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა. წარსულ, 1927 წელს სომხეთში თითო სასამართლო უბანზე მოდიოდა 29.000 მცხოვრები. ახლა-კი, ვინაიდან სომხეთის იუსტისსკომმა შესძლო სახალხო სასამართლოთა ქსელის გაფართოება, სასამართლო უბანზე 20.000 მცხოვრები მოდის.

აზერბეიჯანში თითო სასამართლო უბანზე მოდის 28-დან 29.000 მდე, ზოგან-კი 35.000 მცხოვრები.

აი რამდენად მცირეა სახალხო სასამართლოთა ქსელი. ამას უნდა დაემატოს კიდევ შემდეგი უარყოფითი მხარე ჩვენი სასამართლოსი—სახალხო სასამართლოს მუშაობა ძალზედ სუსტი კვალიფიკაცია. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ სახალხო მოსამართლეებს, არ მიუღიათ არავითარი მომზადება; მუშა, რომელიც გუშინ დაზვასთან იდგა, გლეხი, რომელიც გუშინ გუთანზე მუშაობდა, ჩვენ მიგვყავს სასამართლოში; დავაჯინთ მას მოსამართლას მაგიდასთან და ვეუბნებით: „განიხილე ათასი და ათათასი სხვადასხვაგვარი ურთულესი საკითხი, რასაც დაგიყენებს ცხოვრება“. ჩვენში, საქართველოში, წლიურად საშუალო რიცხვით 100.000 საქმე ირჩევა. თუ მივიღებთ, რომ თითოეულ პროცესში საშუალოდ 5 კაცი მონაწილეობს, გამოვა, რომ საქართველოს მცხოვრებთა 2 მილიონიდან ნახევარი მილიონი გაივლის სასამართლოს.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ ეს უზარმაზარი ადამიანთა ზვავი გაივლის სასამართლოს, და უზარდადება მოუმზადებელი მუშაკის წინაშე, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს ყველას, გაერკვეს ყველაფერში და გადასწყვიტოს გლეხის ყოფაცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ჩვენ არც მოსამზადებელი, არც გადასამზადებელი კურსები არ გვაქვს—მიტომ, რომ სახსარი არა გვაქვს.


მესამე მომენტია—სახსრის უქონლობა. თქვენ ხომ იცით, რომ მრავალ თათბირზე მრავალჯერ თქმულა, რომ იუსტიციის კომისარიატი ღარიბი ნათესავია, რომელსაც ძვალს თუ გადაუგდებენ ხოლმე საერთო სუფრიდან. ხორცის ნაჭერი მას არ შეხვდება არასოდეს. ჩვენ ვხედავთ, რომ თვიდან თვეზე გვიმცირებენ ბიუჯეტს. ოქტომბრის თვიდან დაწყებული არც-ერთ თვეს არ გაუვლია, რომ ჩვენი ბიუჯეტი არ შემცირებულია ამა თუ იმ რაოდენობით. ამგვარად, სახალხო სასამართლოს მატერიალური მდგომარეობა მეტად ცუდია. საქართველოში მოსამართლეს ეძლევა 95 მ. 80 კ., სულ დიდი-დიდი—

თუ მაზრა მდიდარია—120 მან., საშუალო ხელფასით თვიურად 105 მან., მდივანს ეძლევა 50—60 მან., საქმის მწარმოებელს, 30 მან. ჯამაგირი იგვიანებს 2, 3, 4 თვით. ცხადია, რომ ასეთ პირობებში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს თანამდებობრივ ხასიათის სხვადასხვა ბოროტ-მოქმედებებს.

შემდეგ, სახალხო მსაჯულის შესახებ. სახალხო მსაჯული მძიმე პირობებშია. მსაჯულობა გლეხისათვის ქონებრივად მძიმე ტვირთი შეიქმნა. თითქმის პირიქით უნდა ყოფილიყო, რადგან გლეხი, ასრულებს რა მსაჯულის როლს, ამით უდიდეს საზოგადო და სახელმწიფოებრივ საქმესაც აკეთებს, სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში მონაწილეობს. ნამდვილად-კი ეს არ არის და მას უმძიმს ამ მოვლეობის შესრულება. მან უნდა გაიაროს 15—20 ვერსი, გააცდინოს 6 დღე და დაბრუნდეს უჯილდოთ. და რას ვხედავთ ჩვენ? გლეხი, მის მაგიერ, რომ წაიდეს სასამართლოში და იქ საბჭოთა მართლმსაჯულებას ემსახუროს, ცდილობს აიცილოს ეს მოვალეობა, წასვლა. მართალია ყველა რესპუბლიკაში არის სათანადო დებულება, მაგრამ არც სომხეთში, არც საქართველოში და არც აზერბეიჯანში ბუიჯეტით არ არის გათვალისწინებული სახალხო მსაჯულის საზღაურის ცნობილია, რომ სახსარსამართლოს მუშაობა დამოკიდებულია მოკვლევის ორგანოთა—მილიციის მუშაობისაგან. როგორც სამაზრო მოსამართლე ვერ განიხილავს საქმეს, თუ მას გამოძიების აქტი არ ექნა ხელთ, ისევე სახალხო მოსამართლეც ვერ გადასწყვიტოს სისწორით საკმეის, თუ მოკვლევის მასალა სუსტი და ბუნდოვანია. ადგილობრივი მილიციის მუშაკების უკოდინარობის გამო ხშირია შემთხვევა, რომ მოკვლევის აქტები ხშირად უზრუნდება მილიციის ორგანოებს შესასწორებლად და შესავესებდ. ამას გარდა, მილიცია სახალხო სასამართლოსათვის მარტო მოკვლევის ორგანო როდია. მილიციის საშუალებით იგზავნება აგრეთვე უწყებებიც. მის საშუალებით უწყებები რიგდება ათი და ასი ათასობით, სამივე რესპუბლიკაში ერთად — მილიონობითაც. მაგრამ მილიცია უმადისოდაც შედმეტად დატვირთულია საკუთარი საქმეებით და ვერ ასრულებს ამიტომ შიკრიკის ფუნქციებს. ამის გამო ჩვენს წინაშე დგება ახალი ამოცანა—შევეცადოთ როგორმე სახალხო სასამართლოს შტაბში სპეციალური დამატარებლები შევიყვანოთ და მილიცია გაავანთავისუფლოთ ამ მოვალეობისაგან. შემცირება შეეხო სახსარსამართლოებს, შეეხო აგრეთვე მილიციასაც; იგი ამჟამად მინიმუმამდეა დაყვანილი, და თავისთავად ცხადია, მიზანშეუწონელი იქნება მას დაეკისროთ ეს ფუნქციები.

სახსარსამართლოს ავტორიტეტი 75%-ით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სრულდება სასამართლო გადაწყვეტილება. ერთი სასამართლოს აღმასრულებელ მოდის დაახლოვებით 2—3 სასამართლო უბანზე. თუ მივიღებთ, რომ სახალხო სასამართლო, საშუალოდ, 25.000 მცხოვრებს უწყევს სამსახურს, მაშინ თითო აღმასრულებელზე 75.000 კაცი მოვა, ჯამაგირი-კი მას 40 მან. აქვს მართალია, მას პროცენტებიც ეძლევა და იგი ცდილობს ამ პროცენტებით აიყვანოს თავისი ხელფასი მინიმუმამდე. მაგრამ ზოგს მათგანს ეს პროცენტები იტაცებს და საკმეის მისი პასუხისგებაში მიცემით თავდება. შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილებათა ასრულებაში დამოკიდებულია აგრეთვე ეკისრება ისედაც დატვირთული მილიციას, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი, როგორც ვთქვით უკვე, მოკვლევის ფუნქციებსაც ვერ ასდის.

უმთავრესი, რასაც მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება, არის ის, რომ ძირეული სასამართლო აბატი უკვე რაღაც პარტიის ყურადღების გარეშე დგას. ამიტომ კავკასიის საკონტროლო კომისიამ—მარშანწინ, აგრეთვე პარტიულ ორგანოებმა, რომელთაც-კი ჰქონიათ შეძლებ



ჩვენი სასამართლოს საკითხი განვიხილოთ, დაადასტურეს, რომ სასამართლოს აპარატი და პროკურატურა პარტიის ყურადღებისა და გავლენის გარეშე მოქცეული. ამ გარემოებას უნდა გავსვას ხაზი. თუ გვინდა, რომ სახალხო სასამართლომ შეასრულოს თავისი დიდი საქმე, ჩვენ უნდა შეუქმნათ მას შესაფერი პირობებიც.

უაზრობა იქნებოდა, გვეფიქრა, თითქოს რევოლუციური კანონიერების განხორციელება შეიძლებოდა მშრომელთა დაუხმარებლად, მათი მონაწილეობის გარეშე. წარმოიდგინეთ მაზრაში მომუშავე პროკურორის როლი. მას დიდი საქმე აქვს დაკისრებული: ზედამხედველობა მილიციის ორგანოებისა, თვალყურის დევნა სასამართლოსა და გამოძიებისათვის, საერთო ზედამხედველობა საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოებზე მაზრაში. ყოველივე ეს მძიმე ტვირთად აწევს პროკურორს.

მე ვლაპარაკობ, რომ პროკურატურა და სასამართლო ვერ შეასრულებენ თავის ამოცანებს, თუ მშრომელთა საზოგადოება არ მოექცა მათ ჯეროვანი ყურადღებით.

ჩვენ სახალხო მოსამართლეები ვერ კრძობენ, რომ პარტიული ორგანოები სათანადო დახმარებას უწყვედონ. ისინი ხშირად განკერძობები ცხოვრობენ, კავშირი აქვთ მხოლოდ ზემდგომ სასამართლო ორგანოსა და იუსტიციის კომისარიატთან. ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ან საბჭოთა ორგანოები ღირსეულათ ვერ აფასებენ სასამართლოს როლს და ამოცანებს თანამედროვე პირობებში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ სასოფლო თათბირი საგანგებო ყურადღებას მიაქცევს სახალხო სასამართლოების ცხოვრებისა და მუშაობის ამ მაზრას.

ახლა, ნება მიბოძეთ მოკლეთ შეგვხვო პროკურორის საკითხს. არ შეიძლება ითქვას, თითქოს პროკურატურა სათანადო სიმალლეზე იდგეს, რადგან პროკურორებათ ჩვენ ვერ ვგზავნით ამ საპატიო თანამდებობისათვის საკმაოდ მომზადებულ და კვალიფიციურ მუშაკებს; ეს თანამდებობა-კი საპატიოა, რადგან პროკურორის მოვალეობას შეადგენს ზედამხედველობა გაუწიოს ყველა ორგანოს საბჭოთა კანონების სისწორით გატარების საქმეში. პროკურორებათ ჩვენ უნდა ვგზავნიდეთ მომზადებულ და ავტორიტეტთან ამხანაგებს, რომ მათ ადგილობრივ შესაფერი ძალენა ჰქონდეთ და არ იჩრდილობოდენ. მათ ისეთი ძალა და გავლენა უნდა ჰქონდეთ, რომ მუდამ შეიძლოთ შეიტანონ პროტესტი და დაადონ თავისი ვეტო ადგილობრივი ხელისუფლების რაიმე უკანონო დადგენილებას. ხშირად შეხვდებით ასეთ სურათს: რომელიმე მაზრის პროკურორი იმდენად ითქვიფება ადგილობრივ მუშაკთა საერთო მასაში, რომ ავიწყდება კიდევ თავისი პროკურორობა. ის ცდილობს არ გაახმაუდოს, არ გამოიტანოს გარეთ შინაური მუშაობის ნაკლი. თქვენ ამაზე მიპასუხებთ, რომ პროკურორი არც უნდა იყოს თავისუფალი ადგილობრივი ხელისუფლების გავლენისა და ხელმძღვანელობისაგან. მე-კი ვიტყვი, რომ გავლენა შეიძლება კუდიც იყოს და კარგიც. კარგი გავლენა—კეთილი საქმეა. არავინაც არ ამბობს, რომ ზარალი არ უნდა უწყვედეს ხელმძღვანელობას სასამართლოს მუშაობას, მაგრამ საქმე შემდეგშია: ბევრი პროკურორი ვერ იჩენს ადგილობრივ პირობებში საჭირო უნარიანობას. ამიტომაც ხდება, რომ ხშირად ცენტრის ყურადღების გარეშე რჩება ადგილობრივი ორგანოების ისეთი დადგენილებები, რომლებიც რევოლუციური კანონიერებას არღვევენ. ჩვენ უნდა ჩავაგონოთ ადგილობრივ ამხანაგებს, რომ იმ შემთხვევაში, როცა ადგილობრივი აღმასკომის გადაწყვეტილება თუ დადგენილება არღვევს ანონის მოთხოვნას, პროკურორმა უნდა აცნობოს ეს ცენტრალურ ორგანოებს.

პროკურატურის მდგომარეობის დასახასიათებლად უნდა ვთქვა კიდევ შემდეგი: რ. ს. ფ. ს. რ.-ში და უკრაინაში, ყოველ მაზრაში ორ-ორი პროკურორია, ჩვენმა-კი მხოლოდ ერთი. ჩვენ საქართველოში მოვახერხეთ 2—3 მაზრაში ორ-ორი პროკურორი გვეყოლოდა, აზერბეიჯანში და სომხეთში მაზრას თითო პროკურორი ყავს, ზოგს-კი არც-ერთი. ვიმეორებ, რომ პროკურორის მთავარი ყურადღება მიპყრობილია სასამართლო-საგამომძიებლო ზედამხედველობაზე, დანარჩენ დარგებს-კი ოდნავ თუ აქცევს ყურადღებას. ეს ხდება მიტომ, რომ მას საერთო საკითხების გადასაწყვეტად არა აქვს საკმაო არც მომზადება, და არც მოცლა. ამგვარად, უნდა ითქვას, რომ ადგილობრივ ორგანოთა მოქმედების კანონიერებისათვის თვალყურის-დევნის საქმე მძიმედ კოჭლობს, ამის შედეგია—ზოგიერთ მეტად კუროზული დადგენილება ადგილობრივი ორგანოებისა. სასოფლო თათბირის პრეზიდიუმში მე მოვიყვანე ეს ფაქტები. თუ გნებავთ, მე თქვენც მოგახსენებთ ამ ფაქტებს, რომ დაგანახოთ, თუ როგორ უვლიან გვერდს ხშირად რევოლუციურ კანონიერებას. ეს ფაქტები მე ამოვიღე აშხ. ვარდანიანის მოხსენებიდან ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის პლენუმზე. აი ის „უფლებრივი“ შემოქმედება, რასაც ჯერაც ვხედავთ ადგილებზე.

ნუხის რაიონში სავალდებულო დადგენილებით აკრძალულია კერძო პირისაგან პურის ყიდვა.

სვანეთში სავალდებულო დადგენილება აწესებს ქელენისათვის პურის, ღვინის, ხორცის და საჩაყის ნორმას.

ჩვენში ამჟამად სახლის ყიდვა-გაყიდვა თავისუფალია, საქართველოს ერთ-ერთ მაზრაში-კი არსებობს დადგენილება, რომელიც სახლის ყიდვას კრძალავს. ეს—საქართველოში. თუ გნებავთ მოვიყვან ფაქტებს სომხეთის შესახებაც.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს უარი ეთქვა შევბუღებაზე, ვინაიდან ეს თავმჯდომარე არ ყოფილა პროფკავშირის წევრი. აღმასკომი კისრულობს ისეთ საქმეებს, რაც მის ქვემდებარებაში არ არის, ე. ი. ითვი-სებს სასამართლოს ფუნქციებს. აღმასკომი უცხადებს კერძო პირებს საყვედურს და შენიშვნებს.

შემდეგ ერთ მოქალაქეს უნდა გადაეხადა მეორისათვის ტანისამოსის შესაკერი ფული, მაგრამ რადგან მათ შორის რალაც უსიამოვნება მოხდა, მილიციის უფროსი ჩაერია მათ საქმეში, ჩამოართვა ერთს, გადასცა მეორეს და ხმა-კრიტიკა!

მილიციის უფროსი ატყვევებს მეფურნეს, რადგან მან არ მისცა ნისიათ პური. კიდევ მაგალითი. რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე უბრძანებს მილიციის უფროსს—აღმინისტრაციული წესით ჩამოართვას ერთ გლეხს ინდოური და გადასცეს მეორეს.

ერთ სოფელში მოწვეული იყო საერთო კრება და აღმასკომის თავმჯდომარემ სცემა იმ გლეხებს, რამელნიც არ გამოცხადდენ ამ კრებაზე.

2—3 კვირის წინ პროკურატურაში გამოცხადდა მღვდელი და განაცხადა, რომ საეკლესიო წესით დაქორწინებისათვის აღმასკომის თავმჯდომარემ მოიხმო იგი თავის კაბინეტში და სცემა. ესეც თავისებური ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდაა!

აპატიმრებენ სამ გლეხს მისთვის, რომ მათ თითქოს გაელანძლოთ პოლიტიურის უფროსის მეგობარი.

ინფორმუქტის უფროსმა სრულებით უსაბაბოთ და უმიზეზოთ სცემა პოსტზე მღვარ კომკავშირელ-მილიციონერს და ერთ მოქალაქეს. ერთ-ერთ მათგანს რევოლვერით თავიც გაუტეხა.

თემამღმასკომის თავმჯდომარემ (სხვათა შორის—კომუნისტმა) და მისმა მდივანმა გამოსტაცეს ფოსტალიონს



მუშკორის კორესპოდენცია, რომელიც მათ ნაკლულთვანებათ ეხებოდა.

ადგილობრივი აღმასკომის ერთ-ერთ თანამშრომელმა სცემა სასადილოს პატრონს იმისთვის, რომ მან ძვირად უანგარიშა სადილი.

რაიმილიციის უფროსი ჩამოართმევს გლენს გოჭებს სადღესასწაულოდ და უმასპინძლდება თავის მილიციონერებს. აქ არის ბევრი სხვა ასეთივე ფაქტი. ერთ-ერთ მაზრაში ადგილი ქონდა ასეთ ამბავს: მაზრალმასკომს არ მოწონებია ერთ-ერთი თანამშრომელი და დაუთხოვია იგი. როდესაც ამ უკანასკნელმა იჩივლა სათანადო შრომის ორგანოებში, იგი დააპატიმრეს, შესთხვეს მის წინააღმდეგ მთელი საქმე და შემდეგ კვლავ გაანთავისუფლეს. ბოლოს და ბოლოს, საქმე ც. ა. კ.-მდე მივიდა. ც. ა. კ.-მა გაამართლა თანამშრომელი. იგი აღადგინეს თავისუფლებებში, მისცეს მთელი გაცდენილი დროის საზღაური და სხვ. სულ ტყუილ-უბრალოდ კაცი იჯდა ციხეში. ბევრი ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება საივზე რესპუბლიკის ცხოვრებიდან.

მე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ბიუროკრატებში და „ვოლოკიტის“ შესახებ. მათთან ბრძოლა—ეს ჩვენი დღევანდელი ამოცანაა. მე-15 ყრილობამ ამ საკითხის თაობაზე გარკვეულათ გამოსთქვა თავისი აზრი. რა კეთდება იუსტიციის ორგანოებში? მე ვამბობ, რომ მთელს ს. ს. რ. კავშირში, ყველგან გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს პროცესის გასამართლებლად. სულ მოკლე ხანში ძლიერ გამარტივებულ იქნება სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის პროცესები და სასამართლოებში რამოდენიმედ შემცირდება ვოლოკიტა ლ ბიუროკრატებში.

რაც შეეხება წვრილი საქმეების გადაცემას ადგილობრივ ორგანოებისათვის—ადმინისტრაციული წესით ან განსაკუთრებულ კომისიებში განსახილველად—უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ სამივე რესპუბლიკაში სულ სხვადასხვა პრაქტიკა არსებობს. საქართველო მიმართავს ერთ წესს, სომხეთი—მეორეს და აზერბეიჯანი—მესამეს. აქ სრული შეუთანხმებლობა სუფევს. ჩვენში, საქართველოში წვრილი 15 მანეთზე ნაკლებ ღირებულ საქმეების განსახილველად შემოღებულია შემდეგი წესი: თემის აღმასკომთან დაარსებულია საგანგებო ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს თემალმასკომის თავმჯდომარე ან წევრი და სადაც მსაჯულებათ სასოფლო საბჭოს წევრები მოიწვევიან. სხდომები იმართება კვირაში ერთხელ ან ორხელ. ამ სხდომებზე არჩევენ ხსენებულ წვრილ საქმეებს. ამ წესით ირჩევა საქმეთა ორი კათეგორია: ტყის წესების დარღვევის საქმეები 15 მანეთამდე და იმავე თანხის საქმეები წინახედის შესახებ. ასეთი პრაქტიკა არსებობს სულ 3-4 თვეა და შედეგები ჯერ არ გვაქვს აღნუსხული.

სომხეთში სულ სხვაგვარი სისტემა არსებობს. იქ სასოფლო საბჭოსთან შემოღებულია სისტემა სასამართლოს სექციებისა. მე მაქვს ცნობა, რომ ერთ-ერთ მაზრაში შექმნილია ასამდე ასეთი სექცია. ყოველ მაზრაში თითოეულ სასოფლო საბჭოსთან არსებობს სამეული: ერთი თავმჯდომარე და საბჭოს ორი წევრი; ეს სამეული იხილავს ყველა სამოქალაქო საქმეს 15 მანეთამდე, გარდა საქმეებისა ალიმენტების შესახებ და სხვა სერიოზულ საქმეებისა, რომლებიც სახალხო სასამართლოში უნდა გაიჩეს. აღსანიშნავია ის, რომ საჩივარი ამ სექციების გადაწყვეტილებათ შეიტანება საუბნო აღმასკომთან არსებულ ხუთეულეებში. ამგვარათ სომხეთში გვაქვს ძლიერ ფართო ქსელი ძირეულ სასამართლო უჯრედებისა, რომლებიც, უმთავრესად, ადგილობრივი გლეხებისაგან, სასოფლო საბჭოს წევრებისაგან შესდგებიან. როგორ ჩამოყალიბდა, რა სახე მიიღო საბოლოოდ ამ საქმემ აზერბეიჯანში, მე არ ვიცი, ვიცი-კი, რომ იქ გან-


ზრახულია ისეთივე სისტემის შემოღება, რაც სომხეთში ამჟამად. საქართველოში ადგილებს გადაეცა საქმეთა კათეგორია—ტყის წესების მცირე დარღვევანი და წახედი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უფლებები უნდა გაერთიანებულ იქნას, იუსტიციის კომისარიატმა-კი უნდა მუშავოს შესაფერი პროექტი და ახლო მომავალში შეტანოს იგი საქართველოს ც. ა. კ.-ში.

მე მინდა ხაზი გაუსვა შემდეგს: საესებით მართა იყო, ჩემის აზრით, ანხ. რუბენი, რომელმაც თავის ვალ სიტყვაში სთქვა, რომ ჩვენ ყველანი ვიხილავთ კითხვებს, ყველანი ვლაპარაკობთ, ვწერთ საუკეთესო ზოლიუციებს, საქმე-კი მაინც ნელა მიდის. ეს განსაკუთრებით ითქმის ჩვენზე, იუსტიციის ორგანოებზე. მე წინა წადში 3-ჯერ ვაკეთებ მოხსენებებს სხვადასხვა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. მიიღებენ ხოლმე საუკეთესო ზოლიუციებს რომელთა უმრავლესობა ქალაქებშია. პირიქით, რაც უფრო ხშირად ვაკეთებ მოხსენებებით უფრო მეტად ამცირებენ იუსტიციის ორგანოებს.

მე საესებით ვეთანხმები ანხ. რუბენს, როცა ის ბობს, რომ ამას ბოლო უნდა მოეღოს. და მართლაც, ზოლიუცია უნდა გატარდეს ცხოვრებაში. ჩვენ ყველა თავმომწონეთ წავიკითხავთ მას, აი რა მშვენიერი რეკლამა მიიღო სასოფლო თათბირმაო, გამოვქვეყნებ მას, დაუგზავნით ყველას და მორჩა! უნდა ნაწილად ავწიოთ სახალხო სასამართლოს ავტორიტეტი, ავამაღლოთ მისი კვალიფიკაცია, ჩავაბათ ვოლიუციური კანონიერების განმტკიცების საქმეში და თუ პარტიული მასები და უპარტიო გლეხები ითუშები, უნდა ვებრძოლოთ „ვოლოკიტას“ და ბიუროკრატების სასამართლოში. მე უნდა დავადასტურო, ჩვენი პროკურატურა არ არის დაკავშირებული მასთან. იმ დროს, როცა რ. ს. ფ. ს. რ.-ში ერთ-ერთი მხარის პროკურორთაგანი სპეციალურად დადის ერთი დროსტიდან მეორეში, ერთი სოფლიდან მეორე სოფელთვალყურს ადევნებს იმას, თუ როგორ ტარდება რეკლამა ლიუციური კანონი, ჩვენ ასეთი კანტროლი უნდა ვწარმოთ მხოლოდ ერთად-ერთი პროკურორის საშუალებით. ამ ნაკლს ჩვენ ადვილად შევავსებდით, რომ რეკლამა ლიუციური კანონიერების საქმეში ჩავაბამდეთ ფაქტ მასებს. აქულებელია, რომ რესპუბლიკაში არ დასაბამ კომიტეტმა თავის უახლოესი სასოფლო მუშაობის გეგმაში უსათუოდ შეიტანონ ადგილობრივად ძირეული სასამართლო დაწესებულებათა გამოკვლევა და პრაქტიკული შეამოწმონ ძირეული სასამართლო ორგანოთა და, სრულყოფილად, რეკლამა ლიუციური კანონიერების საქმის მდგრადობა.

ჩვენი სასოფლო მუშაობის საერთო გეგმაში კიროა შევიტანოთ აგრეთვე საკითხი ძირეული სასამართლო აპარატის შესახებ. მე ვთქვი და ვიმეორებ რომ ჩვენ არ შეგვიძლია გვერდით აუხვიოთ სახალხო სამართლოს, როდესაც ვიხილავთ სოფლის ამა თუ იმ კითხვს ან პრაქტიკულად ვანხორციელებთ ამა თუ იმ ნისძიებას. სასამართლოსა და პროკურატურას ყოველგვარ აქვს ესა თუ ის კავშირი სოფლად ცალკე კულტურულ ეკონომიურ ღონისძიებათა განხორციელების საქმეებში.

ყველა ჩვენ მიერ გათვალისწინებული ღონისძიებანი სასამართლო აპარატის თუ პროკურატურის მუშაობის გასაუმჯობესებლად, ყველა ჩვენი ნაბიჯები სულადა რეკლამა ლიუციური კანონიერების განმტკიცებისკენ გადადგმული, უნდა შეადგენდნენ ჩვენი პარტიული სოფლად მუშაობის პროგრამის თვალსაჩინო ნაწილს. სწორეთ ამ მიმართულებით უნდა მიეცეს დირექტიური პარტიისა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს—რადგანაც მე-15 პარტყრილობამ, მიაპყრო რა მთლიანი პარტიის გულისხური რეკლამა ლიუციური კანონიერებისა, ვოლოკიტასთან ბრძოლის საკითხს.



ერძოდ, სასამართლო აპარატის მდგომარეობას, ამით აღუკვეთრა ეს საკითხები ჩვენი აღმშენებლობის დღევანდელ ზოგად-პოლიტიკურ, კულტურულ და სახეურნო ამოცანებს.

მე მინდა ეხლა შევჩხო ადგილობრივ თავისებურებათა ნიადაგზე აღმოცენებულ დანაშაულებს.

1928 წლამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ იყო ნახსენები ასეთი დანაშაული, თუმცა ჩვენ საქართველოში ადგილი აქვს დანაშაულთა მთელ კლასს, რომლებიც სავარაუდოდ წარსულის ნაშთები და ადგილობრივი ადათების ნიადაგზე ხდება. და მხოლოდ 1928 წ. საქ. ც. ა. კ-ის უკანასკნელ სესიანზე ჩვენ შევიტანეთ ჩვენ სისხლის სამართლის კოდექსში სავარაუდოდ და ადათობრივი დანაშაული. ახერბეიჯანსა და სომხეთში ისინი გაცილებით უფრო ადრე იყო შეტანილი.

როგორია ეს დანაშაული? მკვლელობა სისხლის ასაღებად. ფულადი საზღაურის აღება (განსაკუთრებით ოსეთ-მოკლეთის მშობლებისა ან ნათესავების მიერ მკვლელების ნათესავთაგან.

საცოლოს გამოსასყიდის მიღება: „კალიმი“, „ნოჩი-ლიმი“, ე. ი. საცოლოს აშკარა ყიდვა. ეს ისჯება თავისებურების აღკვეთით 2 წლით და მიღებული საზღაურის დაბრუნებით.

დანაშაულის მეოთხე სახე—ქალის იძულება ქორწინებისათვის მისი სურვილის წინააღმდეგ.

მეხუთე—დაქორწინება არასრულწლოვანთა და იძულებული ასეთი ქორწინებისათვის მშობლების მიერ.

მეექვსე—წინააღმდეგობა ქალის თავისუფალი დაქორწინებისათვის.

ეს უკანასკნელი უფრო ხშირია თურქებში, სადაც ასეთი ადათია: თუ ქმარი გარდაიცვალა, ქალი გადადის მისი მემკვიდრეების ძმის ხელში და მისი ცოლი უნდა გახდეს. თუ ქალი არ დათანხმდა ამას, მას არა აქვს უფლება გათხოვდეს მის ნებადაურთივლად.

დაბოლოს—დანაშაულის უკანასკნელი სახე—ორცო-ნაწილობა და მრავალ-ცოლიანობა, რაც ისევ ადათზეა აღმშენებული.

ადათობრივი დანაშაულის აი ეს მთავარი სახეე-ბები შევიტანეთ ჩვენ სისხლის სამართლის კოდექსში.

როგორია ჩვენი სასამართლო მუშაკების სოციალურ-პოლიტიკური და პარტიული შემადგენლობა?

საქართველოში ასეთი სურათი გვაქვს: 95 სახალხო სასამართლიდან 83 კომუნისტია. კომუნისტები, ამგვარად, შეადგენენ 87%, უპარტიონი—12%.

სახალხო მოსამართლეთა შემადგენლობის ცვალებადობა 30% უდრის, ასე რომ 100 კაცში 30 მუდმივად მუშაობდა. შეისწავლის თუ არა ცოლათი საქმეს (იუ-ტიციან-კი დიდი სკოლა!), მიიღებს თუ არა პრაქტიკულ მითითებებს (მიტომ რომ მას საქმე მუდამ მასასთან, მითხრობდა ყოფა (ხეობრებასთან აქვს), მყისვე გადას-მართლებს, რომ იგი საუკეთესო გამგე იქნებოდა საორგანი-ზაციო განყოფილებისა ან სამაზრო პროფბაუროსი, დადაიყვანებენ, მის ადგილზე-კი გამოგზავნიან შემდეგ, მითხრობს უმუშევარს.

აიღოთ სომხეთი. 1926 წლ. იანვრის 1 ს იყო 23 სასამართლო, ახლა-კი 13-ით მეტია. მაშასადამე სულ 40 ყოფილა. 28 კაციანი (მე ამ რიცხვიდან გამოვდივარ): 4-მუშა, 13-გლეხი და სხვები—10. კომუნისტი მათ შორის—12, კომკავშირის წევრი—1. 3 წელზე მეტი პრაქტიკული სტაჟი მხოლოდ 4-ს აქვს.

სოციალური შემადგენლობა საქართველოში. 27 წ. იანვრის 1 სულ იყო 95 სახალხო მოსამართლე, მათ შორის—46 მუშა (რაც 48% შეადგენს), 15 გლეხი (19%), ინტელიგენტი—34 (36%). ესენიც არიან პარტიულები,

რომლებმაც თავი მოსამსახურეთა გრაფაში შეატანეს აპარატის გამუშურებისა და კომუნისტების მხრივ ჩვენ საქართველოში დიდი მიღწევები გვაქვს, იგივე ითქმის სამხეობებშიც.

რაც შეეხება ახერბეიჯანს, სახალხო მოსამართლე-თა საერთო რიცხვიდან მუშები 13 1/2% შეადგენენ, გლეხები—31,6%, დანარჩენები-კი—54,09%. მუშების სტა-ჟი: 1 წლამდე—20%, 1-დან—2 წლამდე—65% ყველა-ზე დიდ რაოდენობას აქ შეადგენენ 1—2 წლიანები, ასე რომ აქაც აქვს ადგილი შემადგენლობის ცვალებადობას.

თუ გაინტერესებთ, მე შემიძლია გაცნობოთ, თუ რამდენი და რა ხასიათის საქმე შემოდის თვითნებურ წერ-ტილში. საქართველოში 1927 წ. იანვრისათვის დარჩა განუ-ხილველი 47639 საქმე. ნახევარ წელიწადში შემოვიდა 62.679 სა-ქმე. სულ 110,000-მდე საქმე წლიურად. ჩვენ საშუალოთ ვღე-ბულობთ 110.000. ნთვის განმავლობაში დამთავრებულია 63380 და 1927 წ. ივლისის 1-ათვის დარჩა განუხილვე-ლი მაინც 46.000 საქმე. საშუალოთ რომ ავიღოთ, სა-ქართველოში, სომხეთში და ახერბეიჯანში თითო წერ-ტილზე თვეში მოდის 130—135 საქმე. ამათში ირჩევა 120—125 საქმე, დანარჩენი 10—15 საქმე სახ. მოსა-მართლეს განუხილველი რჩება და გადაიტანება შემდეგ თვეში.

აი ასე გროვდება საქმეები სახალხო სასამართ-ლოში.

სომხეთში, საშუალოთ, 140 საქმე შემოდის. ახერბეიჯანშიც საშუალოთ, 140 საქმე.

ახლა საქმეთა ხასიათის შესახებ.

საქართველოში 27 წლ. ივლისის 1-ს შემოსული იყო 33.917 სამოქალაქო საქმე, მათ შორის 3.629—საკუ-თრების უფლების შესახებ, 212—აღნავობის უფლებისა, 12,500—ვალდებულებათა, 239—მემკვიდრეობისა, 830—განქორწინებისა და სარჩოს შესახებ, 1.248—მიწის შესა-ხებ და 11.000—სხვაგვარი საქმე.

სისხლის სამართლის საქმეებით შემდეგ სურათს იძ-ლევინა: 1927 წლ. ივლისის 1-ათვის, ე. ი. 6 თვის გან-მავლობაში შემოსულა 28.762 საქმე. ამათში 10.974—მმართველობის წესის წინააღმდეგ, 480—თანამდებობრი-ვი, მათ შორის 366 საქმე მითვისებისა და გაფლანგვის შესახებ, 66—მეჭრთამეობის შესახებ, 249—სამეორნეო, 9.535—პიროვნების წინააღმდეგ (სხეულის დაზიანება, შეურაცყოფა, მკვლელობა და სხვ.), 5.883—ქონებრივი დანაშაული, 680—სახალხო ჯანმრთელობის წინააღმდეგ და 1.011—ხულოვნობის შესახებ.

ახერბეიჯანში 1926 წლ. და 1927 წ. პირველი ნა-ხევრის ცნობებით საქმეთა საერთო რიცხვიდან 58%—ს სისხლის სამართლის საქმეები შეადგენდნენ.

ჩემი მოხსენების დასასრულს მე მინდოდა მიმექცია თქვენი ყურადღება ადვოკატურისათვის, რომელსაც მნი-შვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი სასამართლო აპარა-ტის სისტემაში.

საქართველოში განსაკუთრებით, მდიდარნი ვართ ადვოკატურით, მარტო ტფილისში ჩვენ 350 დამცველ-თა კოლეგიის წევრი გვაყავს. მთელ საქართველოში-კი—400 კაცზე მეტი, 75—სასამართლოზე ჩვენ გვაყავს 400 მეტი დამცველთა კოლეგიის წევრი, რომელთაც, როგორც იცით, თავისი ფსიქოლოგიით, თავისი შეგნებით არ შეი-ძლება ასე თუ ისე არ იქონიონ გავლენა ჩვენ სახალხო სასამართლოზე. ეს გავლენა კი ზოგჯერ ძლიერ უარყო-ფითია. წარმოიდგინეთ ჩვენი გამოუცდელი მოსამართლე, რომლის წინაშე მარჯვნივ ერთი ადვოკატი დგას, მარცხ-ნივ—მეორე, გვერდით-კი უზის პროკურორი, რომელიც ძლიერ სუსტად ერკვევა საქმეს. ამ გავლენის ქვეშ ზოგი-ერთი მოსამართლე ამრუდებს ხოლმე კლასიურ ხაზს მე-ტადრე მაშინ, თუ ეს მოსამართლე გამოუცდელი და სუსტია.

ჩვენ შევეცადეთ შეგვეტანა ცოტაოდენი სიახლე კოლევების წევრთა ოჯახში, მაგრამ, სამწუხაროთ, არაფერი გამოგვივიდა, წმინდამ საქმეს ვერ უშველა.

საქართველოში, დამცველთა კოლეგიაში ჩვენ თითქმის არა გვყავს კომუნისტები ან მუშები; არის მხოლოდ ორი მამაკაცი—კომუნისტი და ერთი ქალი—და ეს 400 წევრზე! ასეთ სამუშაოზე მშრომელი არ მიდის, რადგან ჯამაგირს აქ ვერ მიიღებს და უნდა იშვავოს თავისი ლუკმა—გამოსვლებით. ჩვენ აქ ძველი ხალხი გვყავს და ასეთ მდგომარეობას უნდა შევუბრუნებოდეთ, სანამ ჩვენი ელემენტი არ შევა დამცველთა კოლეგიაში.

მე ვამბობ, რომ, სერთოდ, ჩვენი სასამართლო აპარატის მუშაობა შეიძლება დახასიათებულ იქნას შემდეგნაირად: კლასობრივი ხაზი, მეტადრე მას შემდეგ, რაც სახ. სასამართლოებში გამუშურება გავატარეთ, გამოსწორდა და ეს დადასტურა ყველა ორგანიზაციამ. ძალიან დიდ გადახრებს კლასობრივი ხაზიდან ჩვენს ა/კ. სასამართლოებში ადგილი არა აქვთ, მაგრამ ჩვენს მუშაობას მაინც აქვს მრავალი ნაკლი.

მეორე მომენტი არის ჩვენი სახ. მოსამართლეების განსაკუთრებით სუსტი კვალიფიკაცია, რაც ასუსტებს ხშირად ჩვენი სასამართლოს ავტორიტეტს.

მესამე მომენტი, ჩვენი მუშაობისათვის ძლიერ დახასიათებელი, მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოებში ზედმეტად დატვირთულია. თქვენ ხომ იცით, რომ სამეფო წესწყობილებიდან და მენშვეიკების დროს არსებობდა საქმეების გამორჩევი ორგანიზაცია მთელი რიგი: სოფლის მამასახლისებიც, სასამართლოებიც და მომრიგებელი მოსამართლეებიც, მეტყვიეები და სხვა ინსტიტუტები, რომლებიც იყოფდნენ ერთმანეთში საქმეებს. ახლა-კი საქმეთა მთელი ეს გროვა აწევს სახ. მოსამართლეებს, ბევრ მათგანს კი საკმაოდ არც ცოდნა აქვს და არც სათანადო პოლიტიკური მომზადება.

ჩვენი სასამართლოები ზედმეტად დატვირთული არიან საქმეებით და ამავე დროს თვით სასამართლო აპარატი მეტად მკირია და ვერ ასდის ჩვენი მოსახლეობის ყველა მოთხოვნილებას. მაგალითი: ჩვენში მთელ დღეში მისი მაზრას ლარსიდან ფასანაურამდე ემსახურება ერთი სახალხო სასამართლო. ყაზბეგის გლენი, თუ სასამართლოში საქმე აქვს, უნდა ჩამოვიდეს დღეში, უკეთეს შემთხვევაში—ფასანაურში. ზამთარში ხომ ასეთ მიმოსვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მთელ სვანეთში, ამ უგზო და გაუვალ მთების ქვეყანაში, სულ ორი სახალხო სასამართლოა; ახალციხის მაზრას ემსახურება ორი სახალხო სასამართლო, ასე რომ, საშუალოდ, მაზრაზე 2-3 სასამართლო უბანი მოდის. უმთავრესი კი ის არის, რომ სახალხო სასამართლოები მოწყვეტილი არიან პარტიულ და საბჭოთა საზოგადოებრიობას. ეს მომენტი განსაკუთრებით ვნებს მათ საქმიანობას.

მე ვფიქრობ, რომ სასოფლო თათბირი, რომელიც იხილავს ძირეული სასამართლო აპარატის მუშაობის საკითხს, მიაქცევს ამ მომენტს ყურადღებას. ყვილაზე უძვირფასესი, რასაც სასოფლო თათბირი მოგვცემს—ეს იქნება ყურადღება და ინტერესი ჩვენი ძირეული სასამართლო აპარატის მუშაობის მიმართ. ამაზე მეტს ჩვენ არც გთხოვთ, რადგან სასამართლო ქსელისა და ბიუჯეტის გადიდებაზე წრეულს ლაპარაკიც ზედმეტია. წრეულს მოგვეცით თქვენი ყურადღება, მორალური დახმარება, დირექტივები, გაისათ-კი ფულიც მოგვეცით.

მე დარწმუნებული ვარ, რომ სასოფლო თათბირის წევრები გამოსთქვამენ თავის აზრს და სათანადოთ შეაფასებენ სახალხო სასამართლოს როლს ჩვენი რევოლიუციის განვითარების დღევანდელ პერიოდში; გამოიტანენ რა შესაფერ გადამწყვეტილებებს, მიიღებენ კიდევ ყოველგვარ ზომებს მათ ცხოვრებაში გასატარებლად.

(საბოლოო სიტყვა)

მე მგონი არც დამჭირდეს კამათი, რადგან უმრავლესობამ ასე თუ ისე დადასტურა ყველა ის დებულება, რაც აქ გამოვსთქვი. ამხანაგებმა კი უფრო გაუსწრახაზი ზოგიერთ საყურადღებო დებულებას.

ლირსშესანიშნავი იყო ამხ. რუბენის გამოხველა, რომელმაც ნათლად და გარკვეულად დაგვიხატა ძირეული სასამართლო აპარატის, განსაკუთრებით პროკურატურის მდგომარეობა და რომელიც მოუწოდებდა სასამართლო ორგანოებსა და პროკურატურას მთელი თავისი გულსაყური სოფლის პრაქტიკულ საქმეებისათვის მიეპყროს.

საინტერესო იყო აგრეთვე ამხ. აშრაფიანის გამოხველა, რამდენადაც იგი საკითხს, უმთავრესად, უხალხო პოლიტიკური პერსპექტივების თვალსაზრისით მიუღდა.

ამხ. რუბენის სიტყვაში მე მიწოდდა მიმეცია თქვენი ყურადღება ერთი მომენტისათვის. მან ხაზი გაუსვა პოპულარული-იურიდიული ლიტერატურის გამოცემის საკითხს. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ საქართველოში მუშაობა დასრულდა მაგ საქმეზე ვზრუნავთ, რამდენად ვიცით სომხეთისა და აზერბეიჯანის იუსტ-სახკომებიც. შეუღლებული უკვე ამ ლიტერატურის ბეჭდვას. სომხეთში გამოცემულია უკვე 9 ბროშიურა, ჩვენშიც გვაქვს აგრეთვე 10-მდე წიგნაქი—სამართლის სხვადასხვა საკითხების თაობაზე. მაგრამ ამ საქმეს ერთი სიმძლე ელოდება წინ: ჩვენ გავალია გამოცდილება ამ ლიტერატურის სოფლისათვის მოწოდების საქმეში. ამ მხრივ ჩვენ უნდა დაგვიხმაროს ადგილობრივი, სოფლად მომუშავე ორგანოები. მეტადრე ღარიბ გლეხობასთან ახლო მდგომი ორგანოები. ადგილობრივი, ქონ-სამკითხველოები და სხვ. მათი შემწეობა ჩვენ შეეძლებოდა ეს ლიტერატურა უშუალოდ თვით სოფელს მივაწოდოთ და არა მხოლოდ სასამართლო მუშაკებს.

ამხ. რუბენის სიტყვაში მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ პროკურატურის მუშაობას. ამ საკითხზე ამხ. რუბენი საეცხობთ მართალია; მე მსურს მხოლოდ შევავსო მისი მოსაზრებანი შემდეგი შენიშვნებით: ადგილობრულ მხარეებზე—მრავალ მაზრას, მეტადრე ჩამორჩენილ, შორსულ მაზრებს, სადაც ცოტაა მომზადებული მუშაკები, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს ასე ესმით რევოლიუციური კანონიერება: თუ კი დამნაშავე შეიპყრეს და დასჯის მსჯავრი, რევოლიუციური კანონიერებაც განხორციელებულია. ასე უყურებენ პროკურორის ფუნქციებსაც და ეუბნებიან მას: შენი საქმეა დაიჭირო ქურდი და მკვლელი და მისცე ისინი პასუხისმგებაში, დანარჩენი შენ ატყვევებო. აი როგორ ვიწროთ ესმით ადგილობრულ რევოლიუციური კანონიერება. როგორ შეიძლება ასე ვიწრო გავება? რევოლიუციური კანონიერების ცნებებში შედის მრავალი სხვა მომენტი, სახელდობრ—საფინანსო და სავადასახლო პოლიტიკის სწორი გატარება, სასოფლო პოლიტიკის სწორი განხორციელება. კანონების შესრულება, ამ კანონების სწორი და მიზანშეწონილი გამოყენება (ცხოვრებაში, მუშურ-გლეხური მასის სოციალური კულტურული და უფლებბრივი ინტერესების დაცვა—არა ფართო აზრი აქვს რევოლიუციურ კანონიერებას. ასე უნდა გვესმოდეს იგი, და არა ისე, როგორც ესამბევრს. სწორედ ამ ინადავზე ადგილი აქვს სხვადასხვა გაუგებრობას, მაგალითად: თუ პროკურორი ასე თუ ისე ჩაერთა სამაზრო აღმასკომის საქმეებში—სამართლის ხაზის გამოსასწორებლად—იმ წამსვე მას მეტიჩარათ მონათლავენ და, ამხანაგების თქმის არ იყოს, უტყვიან როგორც უცხო.

აი ეს მიწოდდა აღმენიშნა. რა უშლის რევოლიუციური კანონიერების ნორმალურ გატარებას უბირველეს ყოვლისა, ადგილობრულ ვერ შეიგნეს საქმიან ჩვენი პარტიის პოლიტიკა რევოლიუციური კანონიერების საკითხში, ვერ გაიგეს რევოლიუციური კანონიერების

ნიერების აზრი და დანიშნულება. ეს—ერთი. მეორე—როგორ აქ სამართლიანად აღნიშნავდნენ ამხანაგები—კანონების უკოდინარობაა. მე ვიტყვი მეტსაც—კანონების არყოფილი უკოდინარობა. რა უნდა მოგვითხოვოთ გლახს, მილიციის უფროსს ან მილიციონერს, როცა აღმასკომის თავმჯდომარე არ იცნობს უმთავრეს კანონებს, რომლებიც იგი უნდა ხელმძღვანელობდეს თავის ყოველდღიურ მუშაობაში. მას არ ესმის ეს კანონები, იგი არც-კითხულობს მათ. უფრო ხშირად იგი ამგვარად მსჯელობს—კანონების საერთო მოთხოვნანი მესმის, საერთო აზრი ვიცი, და, პრაქტიკას-კი რაც შეეხება, მოვიქცევი ხოლმე ისე, როგორც ჩემი საკუთარი სინდისი და გამოცდილება მიკარნახებს.

ამრიგად, ნორმალური რევოლუციური კანონიერების უქონლობის მეორე მიზეზი—ეს არის კანონის უკოდინარობა ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკების მიერ.

შეიძლება ჩაითვალოს ადგილებზე რევოლუციური კანონიერების სუსტად გატარების მიზეზით აგრეთვე პოლიტიკური ლიტერატურის უქონლობა. ამას გარდა უნდა გვხვდეს მასა მოკლებულია ინიციატივას. ჩვენ ვხედავთ კიდეც ვერ ჩავაბით, ვერ დავინმარეთ რევოლუციური კანონიერების განმტკიცების საქმეში გლახობის მიუღი მასა, მისი ყველა ფენები. ლენინსაც, ჩვენ პარტიულ ორგანოებსაც არა ერთხელ უთქვამთ, რომ უაზრობა, უდიდესი შეცდომა და დანაშაული იქნებოდა, გვეფიქრა, თითქოს შეიძლებოდა რევოლუციური კანონიერების გატარება მხოლოდ პროკურორის თუ კარგი თემალმესკომის ხელით—მშრომელი მოწინავე წრეების და, უპირველეს ყოვლისა, პარტიული მასის დაუბრუნებლად.

ამგვარად აუცილებლად საჭიროა მშრომელი მასის ინიციატივა, სურვილი—კონტროლი გაუწიოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, თემალმესკომებს, დაიროლისკომებს, სოფლის საბჭოებს, მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის და სხვა ადგილობრივ ორგანოებს. ეს მასა თვით უნდა იყოს მოწინააღმდეგე და მასის პროკურატურას, რომელიც თვალყურს ადევნებს რევოლუციური კანონიერების შესრულებას. რევოლუციური კანონიერების განხორციელებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პირობათაგანს წარმოადგენს—ამ საქმეში ფართო კომპარტიის წევრთა და მათთან მუშურ-გლახური მასის ჩაბმა. ცენტრში, იუსტიციის კომისარიატში, ხელმძღვანელობა ადგილობრივ პროკურორებზე საქმალად ვერ ბოროტდება, ხელმძღვანელობა სასამართლოებსა და პროკურატურაზე სუსტია, რადგან არა გვყავს შესაფერი კადრი ინსტრუქტორებისა, რომელთა მეშვეობით ჩვენ შევძლებდით ვაგვეწია ეს ხელმძღვანელობა.

მეც გამომჩნია ჩემს მოხსენებაში და აქ გამოსულ ამხანაგებმაც არაფერი სთქვეს სოფ. კორესპონდენტების ბოლის შესახებ. უნდა ვთქვა, რომ კორესპონდენტები ერთ-ერთი რეალურ საშუალებათაგანია სოფლად რევოლუციური კანონიერების განხორციელებისათვის. ამხ. აშრაფიანმა დაგვიმომწია, რომ ისინი ამ მხრივ დიდ დახმარებას უწევენ რევ. კანონიერებას. მე შემიძლია მოგიყვანოთ ამ ციფრები იმ გამოუქვეყნებელი წერილების შესახებ, რაც ჩვენ მოგვდიოდა. 100 წერილიდან 60 სწორი აღმოჩნდა, დამტკიცდა. ჩემის აზრით, მუშაოფკორების მოძრაობა ჩვენ პირობებში ძლიერ განვითარდა და მუშაოფკორი უნდა ჩაითვალოს პროკურორის საიმედო თანამშრომელ დანაშაულთა აღმოჩენის საქმეში. ამ მხრივ, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მჭიდრო კავშირის დაპყრობა პროკურატურისა და სასამართლოს მუშაობის, ერთის მხრივ, და მუშაოფკორების მოძრაობის შუა, მეორეს მხრივ; იმედი მაქვს, რომ მომავალში ამხანაგები დაგვეხმარებიან ამ კავშირის გაღრმავებაში.

მე მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა მიმომსვლელ სესიებზე. ჩვენში მიმომსვლელი სესიები ფენით წამსვლელ სესიებათ გადაიქცენ: მოსამართლე ხელდას, რომ მას არა აქვს ფული ცხენის ან სხვ. რამის დასაქირავებლად, აიღებს ჩანთას, ჩაალაგებს შიგ საქმეებს, წაიყლიებს მდივანს და გაუდგება გზას ფენით. მაგრამ ყველას ხომ არ შეუძლია იაროს ფენით სოფლიდან სოფელში. მე მინდოდა მეთქვა, რომ ეს სესიები, რომლებიც საგრძნობლად გვიმცირებენ სასამართლო „გოლოკიტას“, ანთავისუფლებენ გლახს ზედმეტი სიარული-საგად, მეტად სასარგებლონი არიან; ჩვენ ხელი უნდა შეუწყუთოთ მათ, მაგრამ აქ გველობება ისეთი დაბრკოლება, როგორც არის უსახსრობა. მოსამართლეს, რომელიც ორი კვირით წასულა რაიონში, მის მდივანს სახარჯო სჭირია, ამისთვის სახსარია საჭირო, სახსარი-კი ძალიან ხშირად არ არის. ამ მხრივ ჩვენს რეზოლუციიაში ხაზ გასმით უნდა ვთქვათ, რომ მიმომსვლელი სესიები წარმოადგენენ ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას მშრომელი მასის გასანთავისუფლებლად სასამართლოში ზედმეტი სიარულისაგან, რადგან აქ გლახი-კი არ მიდის სასამართლოში, არამედ სასამართლო მოდის გლახთან და ადგილობრივადვე სწყვეტს საქმეს.

ამხ. ტაგიევა ლაპარაკობდა ალიმენტებზე და აღნიშნა აგრეთვე, რომ ჩვენ არ გვყავს მოსამართლე—ქალები. მე არ ვიცი, რა მდგომარეობაა ამ მხრივ სხვა რესპუბლიკებში, საქართველოში-კი ასეა—ზუგდიდის მაზრაში არის ერთი სახალხო მოსამართლე-ქალი, ახალციხის მაზრაშიც გვყავს ერთი მუსულმანი მოსამართლე-ქალი. ტფილისში ჩვენ გვყავს 4 მოსამართლე-ქალი, დამცველთა კოლეგიაში—ორი ქალი და ერთი ცნობარიატში. ასე რომ საქართველოში გვყავს 10-მდე ქალი, რომლებიც სათავეში უდგანან ჩვენი სასამართლო მუშაობის ამა თუ იმ დარგს.

რაც შეეხება ალიმენტებს, მე სავესებით ვეთანხმები ამხ. ტაგიევას მასში, რომ საალიმენტო საქმეები უნდა პირველ რიგში ირჩეოდეს, მიუხედავად კატეგორიული დირექტივებისა, ჩვენ მაინც ვხედავთ, რომ ადგილობრივი მუშაკები არ ასრულებენ ამას. არ ასრულებენ-კი მიტომ, რომ სასამართლოებში არსებობს რიგსგარეშე საქმეთა რიგი. ჩვენ ვგვალებენ განვიხილოთ რიგსგარეშე სამხედრო, საალიმენტო, გლახების, მიწის, ტყის და სხვ. საქმეები, ასე რომ, არის საქმეთა მთელი სერია, 15 კატეგორიამდე, რომლებიც უნდა განხილულ იქნან რიგსგარეშე. ამგვარად სასამართლოებში ჩნდება რიგსგარეშე საქმეთა რიგი.

ბავშებისათვის სარჩოს მიცემის მხრივ: სისხლის სამ. კოდექსში, რსფსრ და უსსრ მაგალითისამებრ, შეტანილია მუხლი, რომელიც სჯის იმ მშობლებს, ვისაც შეუძლიათ სარჩოს გადახდა, მაგრამ ბოროტად თავს არიდებენ.

ახლა მე მინდა ვუპასუხო ამხ. ხანფეროვს. მე ვფიქრობ, რომ მის გამოსვლაში მან გამოააშკარავა ისეთი მუშაკის ფსიქოლოგია, რომელსაც სურს ამა თუ იმ მიზეზის გამო იხსნას თავისი ახლო ამხანაგი—მუშაკი.

როდესაც მას პირდაპირ დაუსვებს კითხვა—საჭირო იყო მილიციის უფროსის დასჯა თავხედობისათვის—თუ არა, მან თავი აარიდა პირდაპირ პასუხს და სთქვა, „არ ვიცი, ეგებ უნდოდა, ეგებ არა“. კითხეს, როგორი სულის კვეთება ჰქონდა თითონ? ის გვიპასუხებს: „სულის კვეთება მქონდა—არ დაგვესაჯა“.

ასე რომ ამხ. ხანფერიანის გამოსვლა აყო. იმ არტელური“ ფსიქოლოგიის ტიპური კამოხატულება, რომელზედაც აქ გვქონდა ლაპარაკი და რომელსაც უნდა ვებრძოდეთ. ასეთ სულისკვეთებას პარტიული ორგანოები გადაჭრით უნდა ებრძოდნენ.

ახლა იურისკონსულტების შესახებ. საესებით მართალი არიან ის ამხანაგები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ კარგი იურისკონსულტი—სამაზრო აღმასკომისათვის კარგი პროკურორი იყო. კარგ იურისკონსულტისგან, საბჭოთა იურისკონსულტისაგან დიდად დამოკიდებულია სამაზრო აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილების, სავალდებულო დადგენილების და სხვა რამ აქტის სისწორე. ამ მხრით, პროკურორი, იურისკონსულტთან ერთად შესძლებდა ადვილობრივად რევოლიუციური კანონიერების საქმის გაუმჯობესებას. რა თქმა უნდა ცუდი იურისკონსულტი მხოლოდ წაახდენს საქმეს, მეტადრე ახლა, როდესაც ჩვენ ვაფართოვებთ თემისა და მაზრის აღმასკომების უფლება-მოვალეობებს, ვაკისრებთ მათ სავალდებულო დადგენილებათა გამოკვმას, მოქალაქეებზე სათანადო გადასახდელის დადებას, როცა მათ ზოგ საბიუჯეტო სამეურნეო უფლებებს ვანიჭებთ, გადავცემთ ხოლმე ცალკე საწარმოებს და სხვ. ჩემის აზრით ამ პირობებში მაზრის აღმასკომთან კარგი იურისკონსულტის ყოლა ითამაშებდა როგორც რევოლიუციური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

იცით თუ არა თქვენ, რატომ ზარალობენ ხშირად ჩვენი აღმასკომები? მიტომ რომ, ისინი ხშირად ვერ სდებენ სწორად ხელშეკრულებებს. სდებენ, ვთქვათ, ნარდად მიწოდებისა, ოჯახის, შრომისა და სხვ. ასტყდება დავა და აღმასკომი იწყებს საქმეს სასამართლოში. რომ კანონის ყველა მოთხოვნილება თავიდანვე ყოფილიყო გათვალისწინებული, აღმასკომს აღარ დასჭირდებოდა სასამართლოში სარული. ამიტომ იურისკონსულტთა ინსტიტუტს მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ.

საესებით მართალია ის ამხანაგი, რომელიც ამბობდა, რომ ჩვენი სასამართლოები დამძიმებულია ზედმეტად დიდი ფორმლობით. ამხ. აშრაფიანმა ძალიან მოხდენილად სთქვა, რომ ჩვენი საპროცესო კოდექსები, სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო, ოდნავ თუ განსხვავდებიან ძველ კოდექსებისაგან. ამიტომ მათი გამარტივება და მაქსიმალური შემცირება იუსტიციის ორგანოების ძირითად ამოცანას შეადგენს და ეს ამოცანა სდგას დღეს ჩვენს წინაშე. იუსტიციის მუშაკთა მე-IV ყრილობის დღის წესრიგში შეტანილია საკითხის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების გამარტივების შესახებ.

ადვოკატურის ხრიკები, მოწმეების გამოუცხადებლობა, უწყებების დავიანებით ჩაბარება, თვით მხარეების გამოუცხადებლობა, ზოგჯერ საპატიო მაზეზით, ხან-კი განზრახ—პროცესის გასაჭიანურებლად. დაბოლოს, თვით სასამართლოს მუშაკების მიერ ამა თუ იმ ფორმალური საბაბით საქმის გადადება, რომ გაინთავისუფლონ თავი საქმის ვარჩევისგან დღეს და გადასდონ საქმე განუსაზღვრელი ვადით. ყველა ეს—ის მიზეზებია რომლებიც აფერხებენ საქმის მსვლელობას სახ. სასამართლოში და ქმნიან ამ დაწესებულებებში „ვოლოკიტას“ და ბიუროკრატიზმს. ამ მოვლენას ჩვენ ვადაქრით უნდა ვებრძოლოთ; ეს ამოცანა სდგას დღეს ჩვენს წინაშე.

დასასრულ, მინდა ვთქვა, გაიგეორო ის, რაც უკვე ვთქვი ჩემს მოხსენებაში: მოდით, ისე მოვიქცეთ, რომ ჩვენი სიტყვები სიტყვებათ არ დარჩეს, რომ ამავერათ მაინც გატარდეს ცხოვრებაში ჩვენი დადგენილებები.

უმთავრესია—ამას მე ჩემს მოხსენებაშიც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ ძირეული სასამართლო აპარატის მუშაობა—ჩვენი სოფლის მუშაობა. რა საკითხიც არ უნდა აიღოთ სოფლის ცხოვრებიდან—ულარიბესი გლეხისა და მოჯამაგირის შესახებ იქნება იგი თუ გლეხის მეურნეობის რომელიმე მხარის შესახებ—ვერც ერთი ვერ გადაწყდება ისე, თუ იგი მჭიდროდ არ დაუკავშირეთ სახალხო სასამართლოს და პროკურატურის, საერთოდ სასამართლო ორგანოების მუშაობას. ამიტომ, ჩემის აზრით

ის ვინც სერიოზულად ისახავს სოფელში განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმას, ვერ აუფლანს. გვერდს სამართლო ორგანოების მუშაობას.

ყოველივე ის, რაც აქ ჩემი მოხსენების გამო სთქვა ამხანაგებმა, და განსაკუთრებით, ამხ. რუბინმა, ყოველგვარად უნდა იქნას აღფრთოვანებული ჩამოსულ ამხანაგებმა, რომლებმაც გააზრტეს სასამართლოს ცხოვრების მუშაობის მრავალი მემენტი, ყოველივე ის, რაც ამიერკავკასიის სასოფლო თათბირზე ითქვა—უნდა ეცნოს ჩვენი საზოგადოების ფართო წრეებს, რომ ჩვენი საბჭოთა და პარტიული საზოგადოებრიობის აზრი ავამოყდრეთ და ჩვენი სასამართლოსაკენ წარვმართოთ.

ი. ვარძიელი.

საჭიროა გრძელად სასამართლოების მუშაობის დამაბრკოლებელ პირობებში.

ესლახან გატარებულმა ბიუჯეტის აუცილებელ შემცირებამ დააყენა იუსტიციის სახალხო კომისარიატი იმ საკითხის წინაშე, თუ რა ნაბიჯი უნდა იქნეს გადადგმული, რომ ის დავალება პარტიისა და ხელისუფლების რაც მას აქვს დაკისრებული, უნაკლოდ, საესებით იქნეს შესრულებული. ამ საკითხის განხილვის დროს უნდა ვგახსოვდეს, რომ რამდენი კაციც უნდა ემსახურებოდეს ამ თუ იმ საქმეს და სამეურნეო ხარჯებისათვის ბიუჯეტის ნორმაზე მეტიც ჰქონდეს, ამ უკანასკნელის წარმოება იქნება საკმაოდ ნაყოფიერი, თუ შრომა არ იქნა განაწილებული ისე, რომ თვითეული ნაწილის შესრულება სახურებოდეს ამ საქმის წარმატებით წარმოებას. მაგრამ ვარდა შრომის სათანადო განაწილებისა საქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რა პირობებში ჩაყენებული შრომის შესრულება, აქვს თუ არა ამ პირობებს უარყოფითი მხარეები, რომელთაც შეუძლიათ აპარატის მუშაობაზე ძნელად გასასწორებელი, ზოგჯერ გაუსწორებელი გავლენა იქონიოს. ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული იუსტიციის მთელი უწყების მუშაობა იმ პირობაში; როდესაც ჩვენ გვაქვს საქმე ბიუჯეტის 20 პროც-ით შემცირებასთან.

იუსტიციის უწყებაში გატარებული ბიუჯეტის მოკლება არ არის ასეთი, რომ მას შეეძლოს ძისი აპარატის მუშაობა დააბრკოლოს, თუ იქნება გადალახული ყველა ის პირობა, რაც ხელს უშლიდა და ამ უშლის იუსტიციის სხვადასხვა ორგანოების წარმატებით მუშაობას. აი ეს უკანასკნელი გარემოება უნდა გვეჩვენდეს სახეში, როდესაც შეუდგებით იმ საკითხის განხილვას, რა უნდა იქნეს შესრულებული, რომ გატარებული ბიუჯეტის შემცირებამ არ მოგვიტანოს ცუდი შედეგები უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად გატარებული შემცირება თავისთავად ვერ დააბრკოლებს იუსტიციის აპარატის მუშაობას. მაგრამ თუ ჩვენ არ ვიზრუნეთ ამ აპარატის მუშაობის პირობების შეცვლასა და გაჯანსაღებაზე და რაციონალურად საქმის დაყენებაზე აუცილებელი მოსალოდნელია მუშაობის უარყოფითი მხარეების მეტად სიძლიერით მოქმედება, ვიდრე მას აქამდე ვამჩნევდით. რა პირობები უნდა გვექონდეს მხედველობაში ამ უშლის წინაშე?

ჩვენ აქ შევეხებით ზოგადად სასამართლოს იუსტიციის სხვა ორგანოების მუშაობის იმ ნაკლს, რომელიც აფერხებდა და ამ უშლის აფერხებს მის ნორმალურ მოქმედებას და ქმნის ვოლოკიტას, ბიუროკრატიზმს და საქმის გართულებას და ხარჯების გადიდებას. იუსტიციის ყველა ორგანოს მოეთხოვება ამ მართო კანონის პირდაპირი დადგენილებები შეასრულოთ არამედ გაითვალისწინოს და გაიგოს, რა მიზანს ისახავდა კანონმდებელი, როდესაც ამა თუ იმ კანონს სცემდა

კანცელარიის

და რა პოლიტიკის ატარებს ხელისუფლება კანონმდებლობაში. თუ ის იქნა დაევიწყებული იუსტიციის ორგანოების მიერ, ჩვენ გვექნება საქმე მათ მიერ საქმისადმი ფორმალურის თვალსაზრისით ჩიდგომასთან. თუ კი მიუდგებით ხსენებულ ორგანოების მუშაობას ამ მხრივ, ჩვენ აღიარებთ ისეთ ნაკლს, როლის გადალახვა საქმეში არა მარტო მაშინ, როდესაც შტატის შემცირება გავატარებთ, არამედ ყველა პირობებში.

საბჭოთა სამოქ. სამ. კოდექსის 59 და 60 მუხლის დაპირისპირება გერმანული სამოქ. დებულების 1007 მუხლთან არკვევს შემდეგს: 59 და 60 მუხლში ლაპარაკია მესაკუთრეზე და მესაკუთრის მოთხოვნის უფლებაზე, გერმანული სამოქ. დებულების 1007 მუხლში კი ლაპარაკია უწინარეს მფლობელზე და უწინარეს მფლობელის მოთხოვნის უფლებაზე.

1007 მუხლის დადგენილების აზრი გასაგები იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში იმავე კოდექსის 1006 მუხლის დადგენილებას, რომ მოძრავი ნივთის მფლობელის სასარგებლოდ იგულისხმება, რომ ის არის ნივთის მესაკუთრე და რომ ამ პრეზუმპციას არ აქვს ძალა უწინარეს მფლობელის წინააღმდეგ, რომელსაც ნივთი წაერთვა ან დაეკარგა ან და საზოგადოდ ხელიდან გამოეცალა, რადგან უწინარესი მფლობელის სასარგებლოდ იგულისხმება, რომ ის იყო მესაკუთრე იმ დროის განმავლობაში, სანამ მას ფლობდა. (ეს არ ეხება ფულს ან უსახელო ქალაქს). ეს დებულება ვრცელდება როგორც ნივთის არაკეთილსინდისიერი მფლობელზე, ისე კეთილსინდისიერზეც.

ამრიგად ფაქტიური მფლობელი ნივთისა იგულის-

საყვანონ ის დ. კ. წევრი, რომელმაც ამათზე საჩივარი დაწერა ან დ. კ. წევრმა მათ ყველას უარი უნდა უთხრას და დასტოვოს გლეხთა მასები იურიდიული დახმარების გარეშე მაშინ, როდესაც ჩვენ ყოველ ჯგერედინზე ასეთი დახმარების საჭიროების შესახებ გავიძახით, საქმით მიზანშეწონილს ნაბიჯს წინ ვეღობებით დახავსებულ და მკვდარი ფორმალიზმით.

ეს საკითხის პრაქტიკული მხარეა, მაგრამ ამ საკითხის იდეოლოგიური მხარეცა აქვს, რომლისთვისაც საბჭოთა სამართლის რედაქციას, როგორც ახალ ყოველცხოვრების საფუძვლების ჩამყარებს და ძველ უფარვის უწყობთან მებრძოლს, უაღრესი ყურადღება უნდა მიექცია და დ. კ. პრეზიდუმის უტყვეს. ისტორიულ დოკუმენტს მოქცეოდა უფრო გრძობიერად, ვიდრე კალათში გადასროლა ზ შეეცდებოდა ჩირქი მოეცხო იმ კოლექტივისათვის, რომელმაც გამოიტანა დადგენილება, ხოლო თუ ეს დადგენილება მართლა უკანონო და უეთიკო დოკუმენტია, უფრო დიდი დანაშაული მიუძღვის იუსტისსაკომისის ორგანოების მთელს რიგს.

ეთიკურ მხარეს პრეზიდუმმა დიდი ყურადღება მიუქცია, მაგრამ მიიღო მხედველობაში საბჭოთა სამართლის პრინციპები, ძირფესვიანად რომ არღვევს ბურჟუაზიულ სამართლის პრინციპებს, საიდანაც ყოველივე საიდუმლოება განდევნილია, უდიდესი აქტივობა და ინიციატივა ეკუთვნის მოსამართლეს და არა მხარეებს, სადაც ყოველივე დოკუმენტი, ან უბრალო ნაბიჯი ერთი მხარისა უნდა თვალსაჩინო იყოს მეორისათვის. აქ ლაპარაკი ძველ ეთიკაზე მტკიცე კანონს, ან რომელ ეთიკას ემყარება რედაქცია, ვინაიდან გავლენის ქვეშ მოექცა, გაუგებარა.


დამცვე. კოლეგიის პრეზიდუმი, რომელშიც მეც ვიღებდი მონაწილეობას, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ თავისი დროებითი დადგენილებით იგი ნაწილობრივ ებრძოდა და არღვევდა ადვოკატების ძველს ეთიკას, მაგრამ თუ იგი სცდებოდა, ეს უნდა ვინმემ დაამტკიცოს და არ აიგდოს მასხარად უკამათოდ კალათაში გადაგდებით.

მით უფრო უადგილოა აქ მასხარაობა, რომ პრეზიდუმის დადგენილება მაშინვე წარედგინა როგორც პროკურორს, აგრეთვე ოლქის სასამართლოს, მაგრამ მათ ხმაც არ ამოუღიათ, პროტესტი არ განუცხადებიათ, არამედ დაუკანონებიათ ის დადგენილება თავისი დუმილით.

ან სად იყო ახალი პრეზიდუმი (ძველი პრეზიდუმი ხსენებულ დადგენილების გამოტანიდან სამი თვის შემდეგ გადადგა), რომელშიც შევიდნენ ძველი წევრები და რომელნიც (ზოგი მათგანი) იმ დადგენილების წინააღმდეგ იყვნენ, რატომ ეს დროებითი დადგენილება ხელახლა არ გადასინჯეს და ახალი დადგენილება არ გამოიტანეს.

ყველა ამაზე, როგორც რედაქციამ, აგრეთვე დ. კ. პრეზიდუმმა, აგრეთვე იუსტისსაკომისის ხელმძღვანელმა და ხელმძღვანელმა ორგანოებმა პასუხა უნდა გასცენ.

დ. კ. პრეზიდუმის ყოფილი თავმჯდომარე გ. საყვარელიძე





ხმება მესაკუთრედ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უწინარეს მფლობელს ნივთი წაერთვა ან დაეკარგა ან მას ხელიდან გამოეცალა. რას იწმინავს ეს დებულება? ეს იმას იწმინავს, რომ საკმარისია უწინარესმა მფლობელმა დაამტკიცოს, რომ მას ნივთი დაეკარგა ან წაერთვა ან გამოეცალა ხელიდან, რომ ფაქტიურ მფლობელს დაეკისროს მოვალეობა წარმოადგინოს მტკიცება, რომ ის ფლობს ნივთს კანონიერ საფუძველზე. მაგრამ ფაქტიური მფლობელი გაინთავისუფლებს თავს იმისაგან, რომ ნივთი უწინარეს მფლობელს დაუბრუნოს, არა მარტო მოყვანილ შემთხვევაში; სამ. დებულების 1007 მუხლის ძალით ფაქტიური მფლობელი თავისუფალია აღნიშნული მოვალეობისაგან, მაშინაც, თუ ის დაამტკიცებს, რომ ის კეთილსინდისიერად ფლობდა ნივთს უფრო ადრე, ვიდრე უწინარესი მფლობელი, და მას ეს ნივთი დაეკარგა ან წაერთვა ან გამოეცალა ხელიდან (იხ. გერმან. სამ. დებულების 1007 მუხ. მეორე აბზაცი), ან თუ უწინარესი მფლობელი არ იყო კეთილსინდისიერი მფლობელობის შემდინას ან და თუ უწინარეს მფლობელმა უარი თქვა ნივთის მფლობელობაზე (იხ. 3 აბზაცი). აქედან ცხადია, რომ როდესაც დავაა უწინარეს მფლობელისა და ფაქტიურ მფლობელის შორის, გადასაწყვეტია საკითხი, მოდავეთა შორის ვის აქვს უკეთესა უფლება. ამიტომ დავა იმის სასარგებლოდ გადაწყდება, ვინც დაამტკიცებს, რომ მას უკეთესი უფლება აქვს, ვიდრე მეორე მხარეს.

საბჭოთა სამოქ. სამართ. კოდექსის 59 და 60 მუხლისა და გერმანული სამოქ. დებულების 1007 მუხლის დადგენილებათა შორის რადიკალური განსხვავებაა. იმისათვის, რომ სამ. სამ. კოდექსის 59 და 60 მუხლის ძალით ვისმეს ჰქონდეს უფლება მეორისაგან მოითხოვოს ნივთის დაბრუნება, საჭიროა, რომ ის იყოს მესაკუთრე. ამაზე მიუთითებს ორივე მუხლში განმეორებული სიტყვები: „მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს“... აქედან ცხადია, რომ იმ პირმა, რომელიც მოითხოვს ნივთის დაბრუნებას

ნებას ფაქტიური მფლობელისაგან, უნდა დაამტკიცოს რომ ის მესაკუთრეა.

საბჭოთა სამართლითაც „ნივთის ფაქტიური მფლობლობა არის საფუძველი იმ პირის სანივთო უფლების პრეზუმპციისათვის, ვისაც ნივთი თავის მფლობელობა აქვს“. ამ დებულებასთან დაკავშირებულია მფლობელ მიერ სანივთო უფლების გასხვისების ლეგიტიმაცია, რა ძალითაც შესაძლებელია ნივთის შექცევა მის ფაქტიურ მფლობელისაგან, რომელიც იგულისხმება მის მესაკუთრე მაგრამ აღნიშნული ორი დებულება, ერთმანეთთან გასაყრელი, მოქმედობს არა ყველა ნივთის, არამედ ისეთ ნივთის მიმართ, რაც ბურჟუაზიული სამართლით მიიჩნევა ნივთად ითვლება. თუ მხედველობაში მივიღებთ აღნიშნულ დებულებებს და მათ გამოვიყენებთ საბჭოთა სამ. კოდექსის 59 და 60 მუხლის აზრის გასაშლელად უნდა ვთქვათ, რომ ის, ვინც მოითხოვს ნივთის დაბრუნებას არა კეთილსინდისიერ ან კეთილსინდისიერ მფლობელისაგან, სრულებით არ იგულისხმება, რომ ის მესაკუთრეა. ასეთი პირი უნდა იყოს მესაკუთრე და ეს უნდა დამტკიცდეს, რომ მის მოთხოვნას ნივთის დაბრუნების შესახებ ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა და მას გაეუფლებინა ანგარიში. აქედან ცხადია, რომ არ შეიძლება პრეზუმპციის დაშვება იმის სასარგებლოდ, ვინც მოითხოვს საბჭოთა სამართლის წესით ნივთის დაბრუნებას მის ფაქტიურ მფლობელისაგან მხოლოდ იმიტომ, რომ ის იყო ნივთის აღრიწველი, უწინარესი მფლობელი.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი შემთხვევა, როდესაც ნივთის მომთხოვნელს შეუძლია არ წარმოადგინოს იმის მტკიცება, რომ ის მესაკუთრეა. ასეთს აქვს ადგილი მაშინ, თუ ფაქტიურმა მფლობელმა, რომელიც ამ ნივთს მესაკუთრე არ არის, ის წაართვა მომთხოვნელს. ფაქტისა, რომ ნივთი მის მომთხოვნელს ხელიდან გამოეცალა, და იმ ფაქტის შორის, რომ ამ ნივთის გადასვლა მომთხოვნელის ხელიდან ფაქტიური მფლობელის ხელში აქვს საფუძველად ძალადობა, უშუალო კავშირია თუ

მათრახის მოხმარების „სამცს“.

პასუხად ამხ. გ. საყვარელიძეს.

ზემოდ იბეჭდება დამცველთა კოლეგიის ყოფილი თავმჯდომარის გ. საყვარელიძის წერილი სათაურით „მათრახსაც მოხმარება უნდა“. რომ მათრახს მოხმარება უნდა ამაში არც რედაქციას და არც ხსენებულ ავტორს ეჭვი არ ეპარება, მაგრამ ჩვენ გვაოცებს სათაურის შემდეგ მოთავსებული მთელი ტექსტი. დავიწყით თავიდან წერილს აქვს მეორე სათაურიც დისკუსიის წესით*, რომელიც გაუკეთებია არა რედაქციას, არამედ, თითონ ავტორს. რა არის აქ სადისკუსიო? ის გარემოება, რომ მათრახს მოხმარება უნდა, თუ ის ამბავი, რომ დამცველს არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს იყოს ორივე მხარის წარმომადგენელი?!

ჩვენი ჟურნალის პირველ ნომერში მოთავსებული იყო ერთი კურიოზული დადგენილება დამც. კოლეგიის პრეზიდიუმისა, რომელიც თავის კურიოზულ ხასიათს არ დაჰკარგავს არასოდეს, რამდენიც არ უნდა ეცადოს ამხ. საყვარელიძემ და რამდენი „საბჭოთა საღებავითაც“ არ უნდა შეჰღებოს თავისი ხელმოწერა.

იმის გამო, რომ მაზრის საკონსულტაციო კამერაში ერთმა დამცველმა ერთ გლეხს მისცა რჩევა, ხოლო მეორე დღეს იგივე დამცველი გამოვიდა ამ გლეხის წინააღმდეგ—ეს დამცველი გამორიცხულ იქნა დამცველთა კო-

ლეგიის წევრობიდან. დამცველთა კოლეგიის წევრმა თავის გასამართლებლად სათანადო ორგანოს წარმოუდგინა სწორედ ის დოკუმენტი, რომელიც მოთავსებულ იყო არა „კალათაში“ ამხ. საყვარელიძის ენით, არამედ „ფორიად საპატიო“ ადგილას—კურიოზების განყოფილებაში, რომელიც დაუნდობლად ამხელს ყოველ ასეთ მოღონას, არავის შუბლზე ხელს არ მოუხვამს და არც დაკუსიებს გააჩაღებს ისეთ ჭეშმარიტებათა შესახებ, რომლებიც კარგა ხანია უნდა სკოდნოდა ამხ. საყვარელიძეს.

მისი აზრით კი „დამცველთა კოლეგიის მიერ მოტანილ ისტორიულ დადგენილებების (მართლაც რომ „ისტორიულ კურიოზულ“—ელ.) სირთულეს და სიღრმეს რედაქცია ვერ მორეგია, ვერ მოექცა მას მგრძნობიერება და ამიტომაც მოუქცევია კურიოზების კალათაში“.

რაში გამოიხატება ეს სირთულე და სიღრმე? ამხ. საყვარელიძის წერილში ამოვიკითხე შემდეგი არგუმენტები: 1. დამცველთა კოლეგიის წევრთა სიმცირე მათ რებში, რისთვისაც გლეხთა მასები არ უნდა დატოვონ იურიდიული დახმარების გარეშე. 2. მაზრებში სიმრავლე მუქთი კლიენტებისა, რაც იწვევს დ. კ. წევრთა ეკონომიურ მხარის გაუარესებას 3. „ასეთი ამბების“ არსებობა ტფილისის პრაქტიკაში და 4. პროკურორის, ოლქის სამართლოს და ახალი პრეზიდიუმის დუმალი, რომელიც თურმე დაუკანონებიათ ჩვენი ცნობილი „ისტორიული დადგენილება“.

* ხაზი ყველგან ჩვენია.—ელ.

საქართველო

მომხვევასთან გვექნება საქმე. ნივთის მომთხოვნელს არ უნდა დასჭირდეს იმის მტკიცება, რომ ის მესაკუთრეა და მტკიცება მის სასარგებლოდ პრეზუმპციის დაშვება, რომ მესაკუთრეა. სამ. სამარ. კოდექსის 59 და 60 მუხლი დაპარაკობს არა იმ შემთხვევაზე, როდესაც ძალადობის გამოწვევით ნივთი გადავიდა მის მომთხოვნელისაგან მოსახლეს ხელში უშუალოდ, არამედ იმ შემთხვევაზე, როდესაც ნივთის გადასვლისა და ძალადობის შორის უშუალო კავშირი არ არის.

საბჭოთა სამოქ. სამ. კოდექსში, ვიმეორებთ, უნდა იყოს ნორმა, რომელიც იძლეოდეს საშუალებას ვიგულისხმობთ უწინარესი მფლობელი მესაკუთრედ, სანამ ამის დადასტურებამდე არ დამტკიცდება. ასეთ საშუალებას, როგორც უკვე იყო აღნიშნული, იძლევა გერმანული სამართლებრივი. მაგრამ ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული მფლობელობის სარჩელის გამართლება იმ ნივთების დაბრუნებისათვის ფაქტიური მფლობელისაგან, როგორც გერმანული სამართლით უძრავ ნივთების რიცხვს ეკუთვნის, არ შეიძლება იმ შემთხვევაშიც, საბჭოთა სამართალი რომ იძლეოდეს საფუძველს პეტიტორული სარჩელის შესაძლებლობისათვის. ასეთ საშუალებას არც გერმანული სამართლის სხნებული ნორმა იძლევა, რადგან მისი მოძრავ ნივთებზეა დაპარაკობა. მოძრავ ნივთების რიცხვში ვერ გადაყენებთ შენობას, რომელიც ბურჟუაზიული სამართლით ეკუთვნის უძრავ ნივთების რიცხვს და რომელსაც საბჭოთა სამართლით განსაკუთრებული ადგილი უკავია სამოქ. ბრუნვის საგნების შორის. ასეთი საგნის საკუთრებად გადასვლა ერთი ან მეორეზე შესაძლებელია იმ პირობაში, თუ ასეთი გადასვლა განმტკიცებულია სანოტარო წესით (სამოქ. სამ. კოდ. 185 მუხ). ამიტომ შენობის ფაქტიური მფლობელის სასარგებლოდ არ შეიძლება დაიშვას პრეზუმპცია, რომ ის მესაკუთრეა, და არც გამოგვადგება სანივთო უფლების გასხვისებისათვის პრინციპი ლეგიტიმაციისა, რასაც კანონმდებელი

ამტკიცებს ისეთ ნივთების მფლობელობისათვის, როგორც გერმანული სამართლით მოძრავ ნივთების რიცხს ეკუთვნის.

როგორც უნდა იყოს ფაქტიური მფლობელობა, კეთილსინდისიერი თუ არაკეთილსინდისიერი, ნივთის ჩამორთმევის მოთხოვნის უფლება ფაქტიური მფლობელისაგან საბჭოთა სამართლით ექნება არა იმას, ვინც წინ ფლობდა ამ ნივთს, არამედ იმას, ვისიც უწინარესი მფლობელობა ემყარება კანონიერ ტიტულს, საკუთრებას. ასეთ დასკვნას ამართლებს სამოქ. სამართ. კოდ. 59 და 60 მუხ. 59 მუხ დადგენილია, რომ მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი ქონება სხვისი უკანონო მფლობელობიდან. ეს მუხლი გულისხმობს არა მარტო ისეთ საგანს, რომელზედაც საკითხების უფლება შეიძლება გადავიდეს გამასხვისებლისაგან შემდგენელ მისი გადაცემითაც, არამედ ისეთსაც, რომელზედაც საკუთრების უფლების გადაცემისათვის აუცილებელია კანონში გათვალისწინებული პირობების შესრულება. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ საქმე გვექნება უკანასკნეო საგანთან, არ არის გამოსადეგი პრეზუმპცია საკუთრების უფლებისა და არც შეიძლება იყოს გამოსადეგი. და თუ ეს ასეა, არავითარი საფუძველი არ უნდა გვქონდეს საკუთრების უფლების პრეზუმპციისათვის იმის სასარგებლოდ, ვინც ამ ქამად არ ფლობს ამ ნივთს, ხოლო მას ფლობდა, სანამ ის გადავიდოდა ეხლანდელ მფლობელის ხელში. უწინარეს მფლობელის სასარგებლოდ საკუთრების უფლების პრეზუმპცია იქნებოდა იმის ცნობა, რომ ფაქტიური მფლობელი შენობისათვის ითვლება მის მესაკუთრედ, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, ნივთის ფაქტიურ მფლობელის სასარგებლოდ საკუთრების უფლების პრეზუმპციასთან განუყრელია ლეგიტიმაცია ასეთი ნივთის განსხვისებისათვის ფაქტიური მფლობელისაგან. ასე რომ თუ ამ ორ, განუყრელ დებულებას გაავრცელებთ ასეთ საგანზე (შენობაზე), მაშინ ყოველგვარი მნიშვნელობა უნდა დაეკარგოს იმ პირობებს, რომლებიც კანონმდებლის მოთხოვნათა ძალით აუცილებელია იმისათვის, რომ საკუთრების უფ-

რომ გლენთა მასებისათვის საჭიროა მოეწყოს იუ-რიდიული დახმარება ესეც უდაოა, მაგრამ რა იურიდიული დახმარებაა ის დახმარება, როდესაც, ამხ. საყვარელი იმის დღეს ერთი რჩევა მიეცით გლენს და ხელს კი მის საწინააღმდეგედ გამოდინარო? როგორ ჰვიქრობთ, ამით განმტკიცებთ საბჭოთა სამართლის ავტორიტეტს გლენთან? შემდეგ: თუ მაზრებში დამკველთა კოლეგიის წევრები ეკონომიურად შევიწროებულნი არიან—ამიტომ გლენს აფერი დომხალივით უნდა აფრიოთ და იმის გამო რომ ვისმეს „რამე“ გამოვრჩეთ—მტყუანსაც და მართალსაც ყველას, სამხედრო სალაში მიგვცეთ? თქვენ აცხადებთ რომ ასეთი ამბები ტფილისშიაც ყოფილაო. კეთილი რეპა-რაციონალი! ტფილისი ხომ სოფელი არ არის. თქვენ დამკველთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარე იყავით. რატომ არ ამხილეთ დროზე ასეთი „საქმენი საგმირონი“, რომელიც, თქვენ ადვილით და ტფილისის ერთი მახინჯი საგლითის მიზანძვით ასეთი რეკეპტი გამოუწერეთ მაზრა. რაც შეეხება თქვენს მიერ მოყვანილ მეოთხე არგუ-მენტს, უნდა ვაღიაროთ გულახდილად, რომ ყველა ხე-მთათ მოყვანილ მოტივებიდან—ეს ყველაზე უფრო კუ-რიოზული რეპირებული მოტივია.

მა როგორ იქნება იმით თავის მართლება, რომ თქვენ „ისტორიული“ დადგენილება თქვენს შემდეგ დაიბანთი „დუმილით“ დაუკანონებიათ პროკურორს, ოლ-ის სასამართლოს და შემდეგ დამკველთა კოლეგიის ახალ პრეზიდენტს? რამდენად „დუმილი“ დაკანონებას ნიშნავს თქვენც კარგად იცით, მაგრამ თუ ისინიც, ვსთქვათ, თქვენს შემდეგ შესცდნენ, ეს თქვენ რაში გამართლებთ? თქვენ გამოიტანა თავდაპირველად ეს „ისტორიული“ დადგენილება? რისთვის დაგვირდათ იმის თქმა, რომ „თუ ეს

დადგენილება მართლა უკანონო და უეთიკო დოკუმენტი, უფრო დიდი დანაშაული მიუძღვის იუსტისაკომის ორგანოების მთელს რიცხს!“ დანაშაულის ასეთი „გადაბარება“ სხვებზე ოდნავადაც არ განთავისუფლებთ პასუხისმგებლობისაგან.

ყოველივე ამის გამო რედაქცია ვერ მოექცა „უფრო მგრძობიერად“ თქვენს დოკუმენტს, ხოლო ის ფაქტი, რომ ეს დოკუმენტი მართლა კალათაში კი არ გადასრო-ლა, არამედ კურონების განყოფილებაში მოათავსა—ერთხელ კიდევ დაპარაკობს თქვენს საწინააღმდეგოდ, რომ რედაქცია არავის გავლენის ქვეშ არ მოქცეულა, არამედ მტკიცედ ატარებს თავის ხაზს სასამართლოს ცხოვრებაში ყოველგვარ უარყოფით მოვლენების გამოსაწკარავებლად.

დასასრულ რაც შეეხება თქვენს „ფილოსოფიას“ ეთიკისა და კანონების შესახებ, ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ამას არავითარი კავშირი არ აქვს ამ საკითხთან. ყველამ კარგად იცის, რომ საბჭოთა სამართლის პრინციპები ძირფესვიანად არღვევენ ბურჟუაზიულ სამარ-თლის პრინციპებს, რომ საბჭოთა სასამართლოში ყოვე-ლივე საიდუმლოება განდგენილია, რომ უდიდესი აქტიო-ბა ეკუთვნის მოსამართლეს და არა მხარეებს და სხვ. ეს აქსიომაა და სრული სიმართლეა, ამხ. საყვარელიც, მაგ-რამ ამ შემთხვევაში ეს სიმართლე თქვენ რას გმატებთ? ვალიდებიც მართალი იყო, როცა იძახდა, რომ მიწა ბრუნავს მზის გარშემო, მაგრამ განა ყოველთვის და ყოველგვარ არის საჭირო ჭეშმარიტების ბრუნვა?..

ლება სათანადო წესით იქნეს განმტკიცებული შემდგომში.
გერმანული სამართალი, რომლითაც განმტკიცებულ
ია ნივთის მფლობელობის დაცვა განუკითხავად მისი
საფუძვლისა, პეტიტორულ სარჩელს სცნობს მხოლოდ
მოდრავ ნივთების მიმართ. მაგრამ საბჭოთა სამართლის
რომელ ნორმას უნდა დაეყრდნოთ, რომ პეტიტორულ
სარჩელს მოუნახოთ დასაყრდნობი ფუძე? უდავოდ უნდა
ვიცნოთ, რომ იმ პირობებში, როდესაც კანონში არ
მოიპოვება არავითარი საფუძველი, ნორმა, რომელიც
ამართლებდეს პეტიტორული სარჩელის შესაძლებლობას,
როდესაც არ არის დაპირისპირება უწინარესი მფლობე-
ლისა ფაქტიურ მფლობელთან, პირიქით, როდესაც ჩვენ
გვაქვს კანონში დაპირისპირება მესაკუთრისა და ფაქტიურ-
ი მფლობელის და იმაზეა ლაპარაკი, რომ მესაკუთრეს
და არა უწინარეს მფლობელს აქვს უფლება მოსთხოვოს
ფაქტიურ მფლობელს მისი ნივთის დაბრუნება, თავი უნდა
მივანებოთ პეტიტორული სარჩელის დასაბუთებას.

კ. მიქელაძე.

ტარკინოლოგიის მასალისათვის.

თვით მასალა

(გაგრძელება)

- Абсолют — აბსოლუტი.
- Абсолютизм — აბსოლუტიზმი.
- Абсолютный — აბსოლუტური.
- Абсолютно — აბსოლუტურად.
- Абстракция — აბსტრაქცია.
- Абстрактный — აბსტრაქციული.
- Абстрактно — აბსტრაქციულად.
- Аваль — ავალი.
- Авантюра — ავანტურა.
- Авантюрист — ავანტურისტი.
- Авантюрный — ავანტურული.
- Авантюристический — ავანტურისტიკური.
- Ав(у)тентика — ავ(უ)თენტიკა.
- Ав(у)тентический — ავ(უ)თენტიკური.
- Автомат — ავტომატი.
- Автоматизм — ავტომატიზმი.
- Автоматический — ავტომატიური.
- Автоматически — ავტომატურად.
- Авторизация — ავტორიზაცია.
- Авторизованный — ავტორიზირებული ან ავტორიზებული.
- Авторизовать — ავტორიზირება ან ავტორიზება.
- Авторитет — ავტორიტეტი.
- Авторитетный — ავტორიტეტული ან ავტორიტეტიანი.
- Аграрий — აგრარი.
- Аграризация — აგრარიზაცია.
- Аграризировать — აგრარიზირება ან აგრარიზება.
- Аграрный — აგრარული.
- Агрессия — აგრესია.
- Агрессивный — აგრესიული.
- Аксиома — აქსიომა.
- Аксиоматический — აქსიომური, სააქსიომო.
- Алиментация — ალიმენტაცია.
- Алкоголизм — ალკოჰოლიზმი.
- Алкоголик — ალკოჰოლიკი.
- Альтруизм — ალტრუიზმი.
- Альтруист — ალტრუისტი.
- Альтруистический — ალტრუისტიკური.
- Аморализм — ამორალიზმი.
- Аморальный — ამორალური.
- Анализ — ანალიზი.
- Анализировать — ანალიზირება.


- Аналитика — ანალიტიკა.
- Аналитический — ანალიტიკური, ანალიზური.
- Анархия — ანარქია.
- Анархический — ანარქიული.
- Анархизм — ანარქიზმი.
- Анархист — ანარქისტი.
- Анархистический — ანარქისტიკური.
- Аноним — ანონიმი.
- Анонимный — ანონიმური.
- Аномальный — ანორმალური ან ანორმული (და არა ანორმალური).
- Аномалия — ანომალია.
- Антирелигиозный — ანტირელიგიური.
- Апостериорный — აპოსტერიორული.
- Априорный — აპრიორული.

Б.

- Багаж — (ბაგაჟი), ბარგი.
- Багажный — (საბაგაჟო), საბარგო.
- Багаж ручной — ხელბარგი.
- Балласт — (ბალასტი) სამძიმი, ძირმძიმი; ხრეში, ლობი
- Баллотировать, баллотировка — (ბალოტირება), კენჭის
კენჭის ყრით არჩევა.
- Баланс — ბალანსი.
- Балансовый — საბალანსო.
- Вис-балансовый — ბალანს-გარეშე.
- Батрак — ტაბარუკი.
- Бандероль — ბანდეროლი.
- Бандерольный — ბანდეროლიანი.
- о-Вандеролитъ — დაბანდეროლება.
- Банк — ბანკი.
- Банковский, банковский — საბანკო.
- Банкир — ბანკირი.
- Банкирский — საბანკირო, ბანკირული.
- Банкирство — ბანკირობა.
- Банкнота — ბანკნოტი.
- Банкрот — (ბანკროტი), კოტრი.
- Банкротство — (ბანკროტობა), კოტრობა.
- Банкротить, — ться — (გაბანკროტება), გაკოტრება.
- Банда — ბანდი.
- Бандит — ბანდიტი.
- Бандитизм — ბანდიტიზმი.
- Бандитство, — тствовать — ბანდიტობა.
- Безбрачие — უქორწინობა.
- Безбрачный — უქორწინო
- Безвозмездный — უსასყიდლო, მუქთი.
- Безвозмездно — უსასყიდლოდ, მუქთად.
- Безвестно, без вести — უამბოდ.
- Безвестное отсутствие — უამბო გარეგანობა.
- Без вести пропавший — უამბოდ დაკარგული.
- Безграмотность — უწიგნობა, წერა-კითხვის უცოდინარობა.
- Безграмотный — უწიგნო, წერა-კითხვის უცოდინარი.
- Безденежный — უფული.
- Безденежно — უფულოდ.
- Безденежность — უფულობა.
- Безвалютный вексель — უვალუტო თამასუქი.
- Бездействие — უმოქმედობა.
- Бездействующий — უმოქმედო.
- Безнравственность — უზნებობა.
- Безнравственный — უზნეო.
- Безнаказанно — დაუსჯელად.
- Безнаказанность — დაუსჯელობა.
- Безнаследный — უმემკვიდრო.
- Безповоротный
- Безоборотный } მოუბრუნებელი, უკომოუქცევადი

без оборота на меня.—ჩემდა უკუმოუქცევლად
 Безопасность— უშიშროება
 Безопасный— უშიშარი
 Безотлагательный — გადაუდებელი ✓
 Безотлучный — მოუშორებელი, ფეხმოუცვლელი
 Безотлучность — მოუშორებლობა, ფეხმოუცვლლობა
 Безпамятство — უგონობა, გონიხდილობა
 Визаспортный — უპასპორტო
 Визаповоротный — უკუმოუდებელი, უკუმოუქცეველი, დაუ-
 ბრუნებელი
 Визпорочный — უმწიკვლო
 Визпорочность — უმწიკვლობა
 Визпорядок — უწესობა, ურიგობა
 Визпорядочный — უწესო, ურიგო
 Визпорядочно — უწესოდ, ურიგოდ
 Визперывный — განუწყვეტელი
 Визпристрастность — მიუკერძველობა ✓
 Визпристрастный — მიუკერძველი
 Визпристрастно — მიუკერძველად
 Визспорный — უდა(ვ)ო ✓
 Визспорно — უდა(ვ)ოდ
 Визспорность — უდა(ვ)ობა ✓
 Визсрочный — უვადო ✓
 Визсрочно — უვადოდ ✓
 Визсрочность — უვადობა ✓
 Визстыдный — ურცხვი ✓
 Визстыдно — ურცხვად ✓
 Визстыдность — ურცხვობა
 Виззакоризненный — დაუყვედრელი, უმუნათო ✓
 Виззумыный — უგუნური, უჭ უო
 Виззумыность, — мие — უგუნურობა, უჭკუობა
 Визчестие — უბატობა (მოქმედება), საუბატო (ჯარიმა) ✓
 Визчестить — უბატურება
 Визчичество — უმგერობა ✓
 Визработный — უმუშევარი
 Визработность, — тиа — უმუშევრობა
 Визреговой владелец — სანაპიროს მფლობელი
 Визременность — ორსულობა, ფეხმძიმობა
 Визчевник — სანა(ვ)ო, სატი(ვ)ო
 Виз надзора — თვალდაუჭერლად
 Визхозяйное (визхозное) имущество — უბატრონო ქონება ✓
 Визхозяйственность — უსარისტობა, უყარათობა ✓
 Визспорное производство — უდავო წარმოება ✓
 Визлет — ბილეთი
 Визлетный — საბილეთო
 Виз намерения — განუზრახველად, უგანზრახვოდ ✓
 Визшенство — სიცოფე, სიბრაზე
 Визшенный — ცოფიანი, ბრაზიანი
 Визлопная монета — ბილონი ფული
 Визмегаллизм — ბიმეტალიზმი
 Визржа — ბირჟა
 Визржевой — საბირჟო
 Визагонадежность — კეთილსაიმედობა
 Визагонадежный — კეთილსაიმედო
 Визагопристойность — კეთილსაფერობა
 Визагопристойный — კეთილსაფერი
 Визаговидный — კეთილსახიერი
 Визаговидность — კეთილსახიერება
 Визагоприобретенный — კეთილშენაძენი, კეთილმონაგარი
 Визагородный — კეთილშობილი ან პატიოსანი (მაგ. ალა-
 მანი), ძვირფასი (ლითონი)

Благосостояние — კეთილმდგომარეობა ✓
 Благоустройство — კეთილმოწყობილობა, კეთილშენება
 Благотворительный — საქველმოქმედო ✓
 Благотворитель — ქველმოქმედი
 Благотворительность — ქველმოქმედება
 Благочиние — კეთილწესიერება
 Бланк — ბლანკი
 Бланковый — საბლანკო
 Бланкетный — საბლანკეტო, ბლანკეტური
 Бодмерся — ბოდმერეა
 Бодмерист — ბოდმერისტი
 Бойкот — (ბოიკოტი), იოლი, შეკრულობა, ბოიკოტირება,
 იოლის შეკრა, ვისიმე ან რისაზე შეკრა
 Бойня — სასაკლაო, სალახანა
 Бобыль — ტაბარუკი
 Боковой родственник — თვისტომი
 Боковое родство — თვისტომობა
 Большинство — უმეტესობა
 Более или менее — მეტნაკლებად
 Бомба — (ბომბი), ყუმბარა, ყუმბი
 Брак — ქორწინება
 Брак — (ბრაკი), წუნდანადები ✓
 Браковка, — вать — (დაბრაკვა), დაწუნება, შემგუნება ✓
 Бракованный — (დაბრაკული), დაწუნებული, შემგუნებული
 Бракоразводный — საგანქორწინებო
 Брачное свидетельство — საქორწინო მოწმობა
 Брачный договор — საქორწინო ხელშეკრულობა
 Боевая пошлина — საომარი ბაჟი
 Бонификация — ბონიფიკაცია
 Бонус — ბონუსი
 Боны — ბონები
 Бордеро — ბორდერო
 Бронзовый вексель — ბრინჯაოს თამასუქი
 Бранный союз — საქორწინო (ქორწინების) კავშირი ✓
 Времи доказывания — მტკიცების ტვირთი ✓
 Вродяга — მაწანწალა
 Вродяжить — წანწალი
 Будни — საქმადღე
 Буйный — შფოთიანი
 Буйность, — ство — შფოთიანობა
 Буква закона — კანონის ასო
 Буввальный — სიტყვა-სიტყვითი
 Буввоед — ასომქამელი
 Бунт — (ბუნტი), ამბოხი, ჯანყი
 Бунтовать, — тся — (ბუნტობა), ამბოხება, აჯანყება
 Бувчтарь, — товщик — მეამბოხე, მოჯანყე
 Бувхгалтерия — ბუხვალტერია
 Бувхгалтер — ბუხვალტერი
 Бувхгалтерский — საბუხვალტერო
 Бувхгалтерия двойная — ბუხვალტერია ორმაგი
 Быт — ყოფა-ცხოვრება
 Бытовэй — საყოფაცხოვრებო
 Буржуазия — ბურჟუაზია
 Буржуазный — ბურჟუაზიული
 Бувджет — ბუჯეტი
 Бувджетный — საბუჯეტო
 Бувлеть — ბულეტენი
 Бувро — ბურო



კანონმდებლობის მიმოხილვა

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობა

1928 წ. თებერვლის 6-დან მარტის 5-მდე უ. კანონმდებრივი საბჭო

О предоставлении техническому комитету по строительству при КЭС ЗСФСР права иметь гербовую печать (ა.კ. ს. კ. ს.-ის 1922 წ. თებერვლის 11 დადგ. № 9).

საზოგადოებრივი უშიგროების დაცვა

Об отмене постановлений СНК ЗСФСР „О Закавказском и местных комитетах спасения на водах“ (ა.კ. ს. კ. ს.-ის 1928 წ. თებ. 9 დადგ. „ზარია ვოსტოკა“ თებ. 16 № 39).

Об ознаменовании десятой годовщины Красной армии (ა.კ. ს. კ. ს.-ის 1928 წ. თებერვლის 23 დადგ. „ზარია ვოსტოკა“ თებ. 29, № 46). ა.კ. ს. კ. ს.-მა დაადგინა: 1. აღინიშნოს ის ღვაწლი, რაც სოციალისტური სამშობლოს წინაშე მიუძღვით იმ მშობელი, რომელიც რევოლუციური შეიარაღებული ძალების ორგანიზაციამდე, წითელი გვარდის რეგებში მამაცად ებრძოდნენ პროლეტარული ხელისუფლების მტრებს, აგრეთვე წითელი პარტიზანების ღვაწლი, რომელიც მუშათა და გლეხთა საქმისათვის იბრძოდნენ მენშევიკების, მუსავაკისტების და დაშინაქლებების ძალა-უფლების ხანაში. 2. ყოფილი წითელი პარტიზანების და წითელგვარდიელების (აგრეთვე მათი სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ოჯახების) მეურნეობისათვის დაწესდეს შემდეგი შეღავათი: ა) მოხსნილ იქნეს სათესლე სესხის ყველა დაავალანება, რაც ირიცხებოდა 1927 წ. ოქტომბრის 1-სათვის; ბ) ხარისხული თესლეული მიეცეს ამ მეურნეობათა შეღავათიან პირობებში; გ) გავრცელებულ იქნეს ამ მეურნეობებზე მიწათმოყვობის სფეროში ის შეღავათები, რაც დაწესებულია ლაიბობი გლეხობის მეურნეობისათვის; დ) წინადადება მიეცეს ა.კ. ს. კ. ს.-ის სახელმწიფოს და შეიტანოს ს. კ. ს.-ში დასამტკიცებლად იმ ღონისძიებათა პროექტი, რაც საჭიროა მ.გ. წითელი არმიის უფროსთა შედგენილობის სათანადო გარემოებად, გრძელვადიან შევსებულაში და სამსახურიდან სრულიად დათხოვნილ პირთა შორის უმუშევრობის მოსაპობად, აგრეთვე დაწესებულებებსა და საწარმოებში გაგზავნილ პირთა მიზანწინილად გამოყენებისათვის; ე) მიეცეს ა.კ. ს. კ. ს.-ის წინადადება—ა.კ. წითელი არმიის კადრის უფროსთა შედგენილობის პირთა ბინებით დასაკმაყოფილებლად—მიუჩინოს სამხედრო უწყებს საცხოვრებელი სივრცის განსახლებული პროცენტი იმ, როგორც დატულ, ისე ახლად აშენებულ სახლებში, რაც ადგილობრივ საბჭოთა უშუალო ექსპლუატაციაში ან იჯარით გადაცემულია საბინაო-საოჯარო კოოპერაციაზე.

ხელოვნება

О Закавказской литературно-художественной премии (ა.კ. ს. კ. ს.-ის 1928 წ. თებერვლის 6 დადგ. „ზარია ვოსტოკა“ თებ. 10 № 34). პრემია დაწესებულია ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად და მის კულტურულ მონაპოვრათა ცხადსა-ყოფად და განსამტკიცებლად. პრემია მიეცემა სალიტერატურო-სამხატვრო ნაწარმოებისათვის, რომელიც დაწერილი უნდა იქნეს სსრკ-ში მცხოვრებ ერთ-ერთი ხალხის ენაზე. ნაწარმოების თემა ალებულ უნდა იქნეს რევოლუციის შემდეგ დროიდან ან იყოს უფროლიტერატურო-ისტორიული ხასიათისა. თუ ავტორი ა.კ. გარეთ ცხოვრობს, თემა დაკავშირებულ უნდა იქნეს ა.კ. ცხოვრებასთან. პოეტურ ნაწარმოებში უნდა იყოს არა ნაკლებ 5000 სტრიქონისა, დრამატულიში—არა ნაკლებ 3 აქტისა, ხოლო ყველა სხვა ნაწარმოებში—არა ნაკლებ 5 ბეჭდვითი ფურცლისა. პრემია მიიქცემა როგორც დაუბეჭდავი და ხელნაწერად წარდგენილი ნაწარმოებისათვის, ისე საპრემიო წლის განმავლობაში ცალკე წიგნად გამოშლულ ან სსრკ ფარგალში ერთ ერთ უცხოელში დაბეჭდილი ნაწარმოებისათვის. პრემია არის: პირველი (ერთი) 200 მან., მეორე (ორი)—1000 მან. და მესამე (სამი) -500 მან. პრემიას აძლევს ც. ა. კ.-ის პრეზიდენტის მიერ ყოველ წლით დანიშნული ჟიური (15 კაცი). საპრემიო წელიწადი არის ნოემბრის 7-დან შემდეგი წლის ნოემბრის 6-მდე. ნაწარმოები უნდა გამოიგზავნოს ა.კ. ს. კ. ს.-ის სეკრეტარიატის სახელზე სათანადო წარწერით.

ზრომა

Об изменении ст. 82 кодекса заионов о труде (ა.კ. ს. კ. ს.-ის 1928 წ. იანვრის 16 დადგ. „ზარია ვოსტოკა“ თებ. 10 № 34). ცვლილება და დამატება (82-1 მუხ.) შეტანილია სსრკ დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1927 წ. № 65, მუხ. 659). მუშა-მოსამსახურეს, რომელიც დამკირავებელის განკარგულებით გადაყვანილი იქნება სამუშაოზე სხვა ადგილის და რომელიც ამის გამო იძულებულ იქნება საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალოს, უნდა მიეცეს კომპენსაცია. კომპენსაცია მიიქცემა: ა. გადაყვანილი მუშა-მოსამსახურის და მისი ოჯახის წევრების სამგზავრო ფული: რკინის გზით—მაგარი ვაგონის ადგილის და პლაცკარტის ფასი, და თუ მგზავრობა ერთ დღეზე მეტია, მხარეთა შეთანხმებით,—სიჩქარისა-

თვის დასამატებელი ფასიც; წყალსავალ გზით—მე-2 კლასის ფის ფული, გაზატყეობით და შარა-გზათ—ადგილობრივ არსებულ ფასი; ბ. საჭირო საოჯახო ქონება შეთანხმებით, ხოლო ყოველ მუშა-მოსამსახურეს თვით მუშა-მოსამსახურეზე უნდა მოდიდდეს არა უფრო 20 კლოგრამისა, ხოლო ოჯახის თვითმულ წევრზე—არა უფრო 840 კლოგრამისა; გ. დღიური სახარჯო გზაში ყოფნის დროსა და დამატებით 6 დღისათვის—თვის ფაქტური ხელფასის 1/10 არა ნაკლებ 2 მან. 50 კაპ. და არა უმეტეს 10 მანეთის დღეში; თანავე წავსვლის და მისვლის დღე მგზავრობის ერთ დღეზე მეტად; დ. ერთდროული დახმარება—წავსვლის დღისათვის არსებული ფაქტური თვითური ხელფასის რაოდენობით და, ამას გარდა, რაოდენობით ოჯახის თითო წევრზე, რომელიც ფაქტურად უნდა გადაყვანილს. ერთდროული დახმარება არ მიიქცემა, თუ მუშა-მოსამსახურე თვით იკისრებს ყველა ხარჯს, რაც კი დაკავშირებულია ახალ ადგილას წასვლასთან და მისცემს გადაყვანილს ამ ადგილზე ბინას, ოჯახის წევრად იგულისხმება მეუღლე, შვილი და სხვანი გადაყვანილთან ერთად მცხოვრები მშობელი.

განსახლებული ვადით ან განსახლებული სამუშაოს დათმობის ვადამდე გადაყვანილ მუშა-მოსამსახურეს ანაზღაურება მხოლოდ ფაქტურად დაწერილი ხარჯი იმ ზედმეტი ხარჯით, რაც გამოიწვიოდა დროებითი ყოფნით ახალ ადგილას. ამ ხარჯის რაოდენობა განსაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

კერძო საწარმოსა და მეურნეობაში, მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ზემოაღნიშნულ ნორმებზე მეტის მიცემა.

Об усилении обслуживания аслими работниц промышленных предприятий (ა.კ. ს. კ. ს.-ის და ს. კ. ს.-ის 1928 წ. თებერვლის 6 დადგ. „ზარია ვოსტოკა“ თებ. 9, № 33). წარმოებაში მუშავე ქალთა ბავშვებისათვის ბავშვის მოსაწყობად და შესაძლებელი უნდა გადარიცხოს ხოლმე მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან 5—10 პროც. ამ ანარიცხების რაოდენობა კონკრეტულად უნდა განსაზღვროს დაწესებულების, ტრასტისა და საწარმოს ადმინისტრაციამ, სათანადო პროფორგანიზაციის შეთანხმებით.

სოციალური დაზღვევა

Об организации медицинской помощи застрахованным (ა.კ. ს. კ. ს.-ის 1928 წ. თებერვლის 9 დადგ. № 7—„ზარია ვოსტოკა“ თებ. 16, № 39). დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების საქმეზე ა.კ. სსრკ შეშავალი რესპუბლიკების ჯანსაზღვრობის, ჯანმრთელობის სამხარო და მათ თანაბარ განყოფილებათა და ა.კ. რკინის ბინა-ჯანმრთ. დაცვის სამმართველოს უშუალო გამგებლობაში. სამკურნალო დახმარების ფონდი განიყოფება: სამხარო, სარესპუბლიკო და ა.კ. რკინის გზის ფონდით. ადმინისტრ. ტიულ-ტერიტორიარული პრობების მიხედვით, სამხარო ფონდის ნაცვლად, დაარსდება ავტონომური რესპუბლიკის და ოლქის ფონდი. ყველა თანხას, რაც შეიძლება დაზღვეულთა სამკურნალო დახმარებისათვის, დამტკიცებულა და დასაცემს, კანონით განსაზღვრული ფულის გამოკლებით, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდებისათვის. ეს ფონდები არც სახელმწიფო და არ ადგილობრივ ბუჯეტში არ შედიან. სამხარო ფონდი, საბიუჯეტო თანხების დამატებამ, იხარჯება მხოლოდ დაზღვეულთა სამკურნალო და პროფილაქტიკური დახმარებისათვის, სარესპუბლიკო ფონდი იხარჯება მხოლოდ სამხარო ფონდების გასაძლიერებლად, სარესპუბლიკო მნიშვნელობის იმ სამკურნალო, სამეცნიერო-სამკურნალო და პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მოსაწყობად, შესანახად, პიტალურად შესაკეთებლად, აღსაშენებლად და სასტრის გასაძლიერებლად, რაც დანიშნულია დაზღვეულთა და მათ ოჯახთა სარგებლობისათვის. რკინის გზის ფონდი ასევე იხარჯება სატრანსპორტო მუშა-მოსამსახურეთა და მათ ოჯახთა მომსახურებისათვის დახმარება დაწესებულებებზე.

დახმარების სარესპუბლიკო ნორმებს აწესებს ს. კ. ს.-ის ხოლო სამხარო ნორმებს, ამ ნორმების ფარგლებში,—მაზრალმსახურეები. სატრანსპორტო მუშა-მოსამსახურეთათვის ნორმებს აწესებს ა.კ. ს. კ. ს.-ო.

რესპუბლიკის კანონმდებლობით განისაზღვრება დაზღვეულთა დახმარების შემოსული თანხის ის პროცენტი, რაც უნდა დაირიცხოს სარესპუბლიკო ფონდში.

სამოქალაქო სამართალი

О порядке утверждения уставов акционерных обществ (ა.კ. ს. კ. ს.-ის და ს. კ. ს.-ის 1928 წ. იანვრის 16 დადგ. „ზარია ვოსტოკა“ თებ. 10 № 34). დადგენილება გამოცემულია თანახმად სსრკ ც.კ. ს.-ის და ს. კ. ს.-ის მიერ 1927 წ. აგვისტოს 17 დამტკიცებულ დებულების სააქციო საზოგადოებათა შესახებ (სსრკ კან. კრ. 1927 წ. № 49, მუხ. 499 და 500). დადგენილებით გაუქმებულია ა.კ. ს. კ. ს.-ის და ს. კ. ს.-ის 1925 წ. ნოემბრის 9 დადგენილება სააქციო საზოგადოებათა შესახებ (ა.კ. ს. კ. ს.-ის № 11, მუხ. 545).

იმ სააქციო საზოგადოების წესდება, რომლის გამგებთა ან სსრკ ფარგალში იმყოფება, და რომელშიც მონაწილეობას იღებენ

სუსრ სახელმწიფო დაწესებულებანი, ან ა-კ სუსრ ორგანოების დამტკიცებული წესდებით მომქმედო საწარმონი და ორგანიზაციები, ან ა-კ სუსრ შემავალი რამდენიმე რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები, დამტკიცებულ უნდა იქნეს:

ა) სამრეწველო სააქციო საზოგადოების წესდება - ა-კ. ეკოსოს

ბ) საკრედიტო სააქციო საზოგადოების წესდება - ა-კ. ფინანსების მიერ;

გ) სხვა სააქციო საზოგადოების წესდება - ა-კ. ვაჭრობის სახელმწიფო.

იმ სააქციო საზოგადოების წესდებას, რომელშიაც მონაწილეობენ ერთი და იმავე რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებანი, საწარმონი და ორგანიზაციები, და რომლის გამგეობაც რესპუბლიკის ფარგალში იმყოფება, ამტკიცებ: ამ რესპუბლიკის სათანადო ორგანო.

იმ სამშენებლო და საკრედიტო სააქციო საზოგადოების წესდების რომლის სამოქმედო რაიონი სცილდება ამა თუ იმ რესპუბლიკის ფარგალს, უნდა დაამტკიცოს ა-კ. ეკოსომ და ფინანსკომისა კუთვნილ სამებრ.

სააქციო საზოგადოების დაარსებისათვის საჭიროა სათანადო წინასწარი ნებართვა, რომელიც გამოთხოვილ უნდა იქნეს მისი პრაქტიკის წარდგენისთანავე, წესდება შეთანხმებულ უნდა იქნეს დაინტერესებულ უწყებასთან. წესდება გამოქვეყნებულ უნდა იქნეს კანონთა კრებულში.

მომქმედ სააქციო საზოგადოებათა წესდებანი შეცვლილ უნდა იქნეს შემთავალი წესდების მიხედვით და შეთანხმებული სააქციო საზოგადოებათა დებულებასთან 1928 წ. აპრილის 1-მდე. ყველაფერი მათ წესდებაში ეწინააღმდეგება დებულებას, ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

ფინანსების მუშაკანობა

Инструкция по применению постановления ЦИК и СНК Союза от 2 ноября 1927 г. „сложении с крестьянства задолжен по налогам выданным в 1924—25 бюджетном году по случаю неурожая“. (ა-კ. ს.კ.ს-ოს 1928 წ. თებერვლის 23 № 11—„ზარია ვოსტოკა“ № 3, № 52). მოხსნილ უნდა იქნეს როგორც მთავარი ვალი, ისე მისი სარგებელი და საურავი, რაც 1927 წ. ნოემბრის 7-ისათვის დატკიცებული დავალიანებას არკვევს ა-კ. სასოფლო-სამეურნეო რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკების მეშვეობით. ამტკიცებ ცნობებს იგი უგზავნის ა-კ. ფინანსკომს, რომელიც ამტკიცებს, განსაკუთრებულ კომისიაში განხილვის შემდეგ, უკან უგზავნის დამტკიცებლად ა-კ. ს.კ.ს-ოს. ამ დამტკიცების შემდეგ ცნობებს უგზავნის სსრკ ფინანსკომს, ხოლო ბანკი - ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკს.

მალთა მუშაკანობა

Пост. по докладу НК РКИ ЗСФСР об обследовании органов домашнего хозяйства в ЗСФСР (ა-კ. ს.კ.ს-ოს 1928 წ. თებერვლის 18 № 10—„ზარია ვოსტოკა“ თებ. 19, № 42). დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მთელი რიგი ობიექტური მიზეზისა ხელს უშლის მალთა მურნეობის ორგანოთა მუშაობას 1925-26 და 1926-27 წლებში, ხელმძღვანელობის და მუშაობის დეფექტებთან ერთად ის

გამოიწვია, რომ სახელმწიფო სახსრების დახარჯვას სათანადო ნაყოფი არ გამოუღია. ამიტომ, დამტკიცებულია მ-გ. ინსპექციის მიერ შემუშავებული პრაქტიკული ღონისძიებანი დეფექტების გამოსასწორებლად და მიცემულია სათანადო ორგანოთათვის დირექტივები. დადგენილება ვრცელია, ბევრ დეტალს შეიცავს და ამის გამო მისი დაწერილობით გადმოცემა მოკლე წერილში შეუძლებელია.

მშენებლობა

О мероприятиях по своевременному приступу к строительным работам и обеспечению их рабочей силой в строительном сезоне 1928 (ა-კ. ს.კ.ს-ოს 1928 წ. თებერვლის 23, დადგ. № 12—„ზარია ვოსტოკა“ მარტ. 2, № 51). დადგენილება შეეხება მოსამზადებელ მუშაობას: ტექნიკური პროექტების რაც შეიძლება მზლედ შედგენას, საკალენდრო გეგმების შემუშავებას, გეგმების იმ დაწესებულებებთან შეთანხმებას, რომელთანაც მშენებლობა დამოკიდებულია ფინანსურად, მშენებლობის სათანადო მასალით თავის დროზე უზრუნველყოფას, შრომის სახკომთან სათანადო შეთანხმების დადებას მასიური მუშა-ძალის შესახებ. დადგენილება გულისხმობს ა-კ. დაწესებულებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს, ხოლო რესპუბლიკების ს.კ.ს-ოებს წინადადება ეძლევათ ასეთივე ღონისძიებანი გაატარონ რესპუბლიკების მასშტაბით.

მეტყინარია

Положение о закавказском комитете по ветеринарным делам при СНК ЗСФСР (ა-კ. ც.კ.ს-ოს და ს.კ.ს-ოს 1928 წ. თებერვლის 6 დადგ.—„ზარია ვოსტოკა“ თებ. 11, № 35). კომიტეტი დაარსებულია საერთო მეთვალყურეობისათვის, სვეტყინარო-სასანიტარო ღონისძიებათა შეთანხმებისათვის და აგრეთვე ეპიზოოტიის წინააღმდეგ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისათვის. კომიტეტი დაარსებულია ჯარი წლის ვადით. მისი ფუნქციები დადგენილებაში დაწერილობითაა განსაზღვრული.

ა. გ.

ფ ო ს ტ ა

- თ. **შოშიაშვილს.** — თქვენი წერილი „კიდევ ვოლოკიტაზე“ წავა შემდეგ ნომერში.
- ტ. **ებრალიძეს.** — მოგეაწოდეთ სხვა მასალა.
- რედაქცია აცხადებს, რომ ჩვენი ჟურნალის მეექვსე ნომერში მოთავსებულ ამხ. კ. პლეტნიკოვის წერილი „სამოქალაქო მოპასუხეები სისხლის სამართლის საქმეში“ გაშვებული იყო დისკუსიის წესით.
- რედაქციისაგან. უადგილობის გამო დასაბეჭდათ გამზადებული განყოფილებები „პრაქტიკოსის შენიშვნები“ და „მოკლევის საკითხები“ გადაიღო შემდეგ ნომრისათვის.

რ ე ლ ა ქ ს ი ი ს ა გ ა ნ .

1. რედაქცია სთხოვს ავტორებს გვიგზავნონ ხელთნაწერები ან მანქანასე გადაბეჭდილი, ან დაწერილი სუფთა ხელით ფურცელის ერთ კუკრდსე.
2. რედაქცია იტოვებს რედაქციულ შესწორებების და შეძოკლების უფლებას, თუ არ არის ავტორის ჰირდაზირი წინააღმდეგობა.
3. დაწუნებულ მასალას რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ოფიციალური ნაწილი

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სახელმწიფო

შინაარსი: იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარები № 9, 10, 11. — უზენაეს სასამართლოს პლენუმის ახსნა განმარტებანი.

იუსტიციის სახ. კომისარიატის ციკულარები

ციკულარი № 9.

კველა სამაზრო და სახალხო სასამართლოს და სასამართლოს აღმასრულებლებს.

აქლი: უზენაეს სასამართლოს და აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებსა და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის რწმუნებულს ა/კავკასიაში.

ს. ს. რ. კავშირსა და ლატვიის შორის სამოქალაქო საქმეებზე უფლებრივ დახმარების აღმოსაჩენად დადებული შეთანხმების შეფარდების შესახებ.

1927 წ. ივნისის 2 ს. ს. რ. კავშირისა და ლატვიის შორის დაიდო შეთანხმება უფლებრივ დახმარების შესახებ სამოქალაქო საქმეებზე. ეს შეთანხმება ძალაში შევიდა 1928 წ. იანვრის 13-ს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამ შეთანხმების განხორციელების დროს სასამართლო დაწესებულებებმა სახელმძღვანელოდ უნდა მიიღონ ამ შეთანხმების შემდეგი მუხლები:

მუხ. 1. შეთანხმების დამდგ მხარეთა ურთიერთ მიმართვა სამოქალაქო საქმეზე დოკუმენტების ჩასაბარებლად და რაიმე საპროცესო ან და სხვა სასამართლო მოქმედების შესრულების შესახებ თხოვნის დასაკმაყოფილებლად, უნდა ხდებოდეს შემდეგი წესით:

მუხ. 2. დოკუმენტების ჩაბარება მოხდება იმ განცხადების მიხედვით, რომელსაც შუამდგომლობის აღმძვრელი სახელმწიფოს კონსული გადასცემს—საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში, საჯუბერნო სასამართლოს თავმჯდომარეს, ლატვიაში კი ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს. თხოვნა სასამართლოს დავალებათა შესრულების შესახებ გადაიცემა დიპლომატიური გზით.

უკეთუ დაწესებულებაში მიცემული თხოვნის შესრულება არ შეადგენს ამ დაწესებულების კომპეტენციას, განცხადება დოკუმენტების ჩაბარების შესახებ ან თხოვნა სასამართლო დავალებათა შესრულების შესახებ, უნდა გადაიცეს კომპეტენტურ დაწესებულებას, და ეს გარემოება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს იმ დაწესებულებას, რომელმაც თხოვნა გამოგზავნა.

მუხ. 3. განცხადება დოკუმენტების ჩაბარების შესახებ და თხოვნა სასამართლო დავალებათა შესრულების შესახებ უნდა დიპლომატიურად ან სახელმწიფოს ენაზე, საიდანაც იგზავნება აღნიშნული განცხადება და თხოვნა. მათ უნდა დაერთოს შემოწმებული, სათანადო შემთხვევაში რუსული ან, ლათინური თარგმანი. თარგმანი შემოწმებულ უნდა იქნეს შუამდგომლობის აღმძვრელი სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსული წარმომადგენლის მიერ, ანდა ნაფიცი ან ოფიციალურად დანიშნული თარგმანის მიერ იმ სახელმწიფოსი, საიდანაც გამოგზავნილია თხოვნა, ან იმ სახელმწიფოსი, სადაც მიმართულია ეს თხოვნა.

განცხადებაში დოკუმენტების ჩაბარების შესახებ და თხოვნაში სასამართლო დავალებათა შესრულების შესახებ უნდა მოკლედ იყოს აღნიშნული ჩასაბარებელი დოკუმენტების ან და სასამართლო დავალებათა შესრულების შესახებ თხოვნის დანართების რიცხვი და შინაარსი.

დადგენილება, რომელსაც შეიცავს მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი, რჩება უცვლელად.

ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს და დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნულია ჩაუბარებლობის მიზეზები, აგრეთვე პასუხს თხოვნაზე და თხოვნის შესასრულებლად გაცემულ დოკუმენტს, თარგმანი დაერთვის მხოლოდ იმ სახელმწიფოს სურვილით, საიდანაც გამოგზავნილია თხოვნა; მასვე გადახდება თარგმანის ხარჯი.

მუხ. 4. განცხადებაში დოკუმენტების ჩაბარების შესახებ და თხოვნაში სასამართლო დავალებათა შესრულების შესახებ დასახელებულ უნდა იქნეს დაწესებულება, რომელიც თხოვნას გზავნის, და აგრეთვე მხარეთა სახელწოდება და მდგომარეობა. განცხადებაში დოკუმენტების ჩაბარების შესახებ ამის გარდა უნდა აღინიშნოს დოკუმენტების მიმღების მისამართი და ის, თუ რა გვარი დოკუმენტებია ჩასაბარებელი.

განცხადებისათვის ჩაბარების შესახებ იხმარება ბლანკები, რომლებსაც შეთანხმების მოწვევით მხარეები გააძენებენ ერთი მეორეს.

მუხ. 5. დოკუმენტების ჩაბარება შეადგენს იმ სახელმწიფოს სათანადო დაწესებულების მოვალეობას, რომლის სახელზედაც მიმართულია თხოვნა. ამ დაწესებულებას უნდა ეცნობოს, ამა მუხლის მე-2

ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევის გარდა, მხოლოდ გადადგენილი მიმღებს, თუ ეს უკანასკნელი მოისურვებს ამ დოკუმენტის მიღებას.

უკეთუ ჩასაბარებელი დოკუმენტი დაწერილია იმ სახელმწიფოს ენაზე, სადაც მიმართულია თხოვნა, ან მას დართულია მუხლის თანხმად შემოწმებული თარგმანი, აღნიშნულმა დაწესებულებამ, თხოვნის გამოგზავნელი დაწესებულების სურვილით, ჩაბაროს დოკუმენტი იმ ფორმით, რაც დაწესებულება მისი მწიფოს შინაგან კანონმდებლობით დოკუმენტების ამგვარი ჩაბარებისათვის, ანდა ისეთ განსაკუთრებულ წესით, რაც არ ეწინააღმდეგება მის კანონებს.

მუხ. 6. ჩაბარების დამტკიცება შეიძლება ან მიმღების რიგებში და შემოწმებული ხელწერილით მიღების შესახებ, იმ სახელმწიფოს დაწესებულების მოწვევით, ვის სახელზედაც მიმართულია თხოვნა; ამ მოწვევაში უნდა აღინიშნოს იქნეს ჩაბარებული ფაქტი, ფორმა და დრო.

ეს მოწვევა გადაეგზავნება იმ დაწესებულებას, ვის სახელზედაც მიმართულია თხოვნა, მე-2 მუხლის 1 ნაწ. აღნიშნულ წესით.

მუხ. 7. შეთანხმების დამდგ ერთ სახელმწიფოს უფლებათვის დიპლომატიური ან საკონსული წარმომადგენლის მიერ ჩაბაროს დოკუმენტები, იძულებითი ღონისძიების მიუხედავად, რე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფ თავის მოქალაქეთ.

მუხ. 8. სასამართლო დაწესებულებამ, რომელთანაც გზავნილია თხოვნა სასამართლო დავალების შესრულების შესახებ, ან თხოვნის შესასრულებლად უნდა იხმაროს ისეთივე ღონისძიება, რასაც იხმარებდა იგი იმ სახელმწიფოს დაწესებულების თხოვნის შესასრულებლად; ვის სახელზედაც მიმართულია თხოვნა, ფორმალური მხარეც განისაზღვრება ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით. შუამდგომლობის აღმძვრელი დაწესებულების მიხედვით შეიძლება ხმარებულ იქნეს განსაკუთრებული ფორმა, იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელიც განსაკუთრებული იქნება იმ სახელმწიფოს კანონებს, ვის სახელზედაც მიმართულია თხოვნა.

დაწესებულებას, რომელმაც თხოვნა გამოგზავნა, უნდა ეცნობოს, თუ იგი ანა სა მოთხოვნას—როდის და სად შესრულებულია თხოვნა ან აღნიშნული მოქმედება, რათა დანატრეგნებულ მხარეს საძიებლობა მიეცეს დაესწროს ამ მოქმედების შესრულებას.

მუხ. 9. უკეთუ სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზედაც და შესრულებულია განცხადება დოკუმენტების ჩაბარების შესახებ, თხოვნა სასამართლო დავალებათა შესრულების შესახებ, სურს რომ ასეთი შესრულება შეიძლება სასაზღვაო იყოს მისი სურვილისა ან უშიშროებისათვის, მას შეუძლიან ეს განცხადება თუ თხოვნა არ მიიღოს შესასრულებლად.

უკეთუ აღიძვრის ეჭვი სასამართლო დავალებათა შესრულების შესახებ გამოგზავნილი თხოვნის სინამდვილეში მისი შესრულებულია გადამდებულ იქნეს ამ საკითხის გამორკვევად.

მუხ. 10. დოკუმენტების ჩაბარების შესახებ განცხადების სასამართლო დავალებათა შესრულების შესახებ თხოვნის შესრულებისათვის არ შეიძლება ბაჟის, საღებრო გამოსაღების და სხვაგვარი გადახდები იმ გასამოჯგოლოს გარდა, რაც მიეცა მუხ. 11-ის მე-2 ნაწილის მე-2 პუნქტის მიხედვით.


ეს გასამოჯგოლო, აგრეთვე ხარჯი, რომელიც მე-3 ნაწილის მიხედვით შეიძლება გამოიწვიოს დოკუმენტის გადათარგმნა, გადაცემა და დანატრეგნება, უნდა იქნეს, ყოველ ცალკე შემთხვევაში, თხოვნის გადაცემის დროს.

მუხ. 11. ყოველი გაუგებრობა თუ დაბრკოლება, რაც შეიძლება აღიძვრას დოკუმენტების ჩაბარების შესახებ განცხადების სასამართლო დავალებათა შესრულების შესახებ თხოვნის გამოწვევად, უნდა იქნეს აღიშნული.

მუხ. 12. ეს შეთანხმება, დადებული რუსეთსა და ლატვიის საზღვაო-საზღვაო სივრცის სივრცის გაცემა-გამოცემა, და მას ძალაში მოსვლის შემდეგ იქნება ერთი თვის შემდეგ იმ დროდან, რაც მისი ძალაში მოსვლის შემდეგ იქნება ერთი თვის შემდეგ იმ დროდან, რა დღესაც რომელიმე მხარე განაცხადებს უარს ამ შეთანხმებაზე.

უკეთუ ამ შეთანხმებაში მონაწილე არც ერთი მხარე წლიანი ვადის გაცემის წესს არ განაცხადებს, რომ იგი ხელს შეუწყობს შეთანხმებაზე, შეთანხმება ძალაში რჩება ერთი წლის გაცემის შემდეგ, რა დღესაც რომელიმე მხარე განაცხადებს უარს ამ შეთანხმებაზე.

იუსტიციის სახალხო კომისარი **გარბიელი**.
სასამართლოს მმართველობის განც.
გამგე **სიგინავა**.
1928 წ. 15 თებერვალი.



ცირკულარი № 10.

ყველა სამაზრო და სახალხო სასამართლოს.

ასლი: უზენაეს სასამართლოს, აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის განყოფილებებს.

იუსტიციის სახ. კომისარიატი შემოსული ცნობებით სახალხო და სამაზრო სასამართლოები, გამოიტანენ თუ არა დადგენილებას მოწმის ან ექსპერტის დაჯარიმების შესახებ გამოუცხადებლობის გამო, დაუყოვნებლივ, ამ დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, უზენაესის მის ასლის საფუძველზე ორგანიზებს და ამავე დროს მოქმედებს მას შესასრულებლად. ესეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება კანონს და ამიტომ უნდა მოისპოს. სასამართლო ვალდებულია აცნობოს დაჯარიმებულს ჯარიმის დადება და გამოუცხადებლობის მიზეზის ახსნა-განმარტებისათვის მისცეს: 1) სისხლის საქმეებზე ორი კვირის ვადა, თანახმად სისხ. სამ. საპრ. კოდ. 346 და 348 მუხლისა, ხოლო 2) სამოქალაქო საქმეებზე—ერთი კვირის ვადა, თანახმად სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 249 მუხ. აღნიშნულ ვადაზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებას სასამართლო განიხილავს; სისხ. სამ. საქმის გაწერა წარმოდგენილ ახსნა-განმარტებას—გამწესრიგებულ სხდომაზე, ხოლო სამოქალაქო საქმის გამოკი—სამსჯავრო სხდომაზე. თუ დაჯარიმებული არ წარმოდგენს ახსნა-განმარტებას ან თუ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებას სასამართლო პატივსაცემად არ ცნობს, სასამართლოს დადგენილება დაჯარიმების შესახებ კანონიერ ძალაში შედის და უნდა მოყვანილ იქნეს სისრულეში სისხლის სამართლის საქმეებზე—სისხ. სამ. საპრ. კოდ. 456 მუხ. წესით, ხოლო სამოქალაქო საქმეებზე—სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 255 მუხ. წესით. სასამართლო, მიუხედავად თუ არა ძალაში შესულ დადგენილებას შეესრულებს, იმავე დროს აცნობებს ამას საფინანსო ორგანოებს თანახმად სსსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. № 32 დადგენილებისა და იუსტიციის სახ. კომისარიატის 1926 წ. № 45 ცირკულარისა.

იუსტიციის სახ. კომისარიატი წინადადებას გაძლევთ ყველა შემოთავლითი მხრიდან სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად. იუსტიციის სახალხო კომისარიატი—**ი. ვარძიელი**

სასამართლო მმართველობის განყ. გამგე—**სიჭინავა**. 1928 წ. 16 მარტი.

ცირკულარი № 11.

ყველა სამაზრო და სახალხო სასამართლოს

ასლი: უზენაეს სასამართლოს და აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

სამოქ. სამ. კოდ. 414 მუხ. წესით აღძრული სარჩელის განხილვის დროს სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 172 მუხ. დაცვის შესახებ სოციალური დაზღვევის ორგანოს მიმართ.

დაზარალებულს, რომელსაც უკვე მიუღია დაზარება დამზღვევ სალონიდან, შეუძლიან, სამოქ. სამ. კოდ. 414 მუხ. წესით, აღძრას სარჩელი ნიყენებულნი ზიანის დამატებითი ანაზღაურების შესახებ იმ პირობის და დაწესებულების წინააღმდეგ, რომელიც არ ყოფილა დაზარალებულის დამაზღვეველი, თუ აღნიშნული ზიანი მას მიყენებული აქვს უშუალოდ ამ პირის ან დაწესებულების მოქმედებით.

დამზღვევ ორგანოს, რომელმაც დაზარება გასცა, უფლება აქვს, სამოქ. სამ. კოდ. 414 მუხ. და სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 169 მუხ. წესით, დამოუკიდებლად აღძრას შემთავლითი პირისა ან დაწესებულების წინააღმდეგ სარჩელი დაზარალებულისათვის მიცემული დაზარების ანაზღაურების შესახებ. ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ სასამართლომ თავის დროზე მიაწოდოს, თანახმად სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 172 მუხლისა, საჭირო ცნობა სათანადო დამზღვევ სალოაროს, რომელმაც შეძლებს იგი მოკლებულ იქნება შესაძლებლობას აღძრას, რეგრესის უფლებით, სარჩელი.

შემთავლითი შემთხვევის გამო, იუსტიციის სახალხო კომისარიატი სარჩელი გაძლევთ სამოქ. სამ. კოდ. 414 მუხ. წესით დაზარალებულის მიერ აღძრულ საქმის განხილვის დროს მტკიცედ დაიცვათ სოციალური დაზღვევის ორგანოთა მიმართ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 172 მუხ. მოთხოვნა.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი **ი. ვარძიელი**

სასამართლო მმართველობის განყ. გამგე **სიჭინავა**. 1928 წ. 19 მარტი.

ამონაწერი უზენაეს სასამართლოს პლენუმის

სხდომის ოქმიდან.

1928 წ. 16 თებერვალი.

ქ. ტფილისის შრომის სახალხო სასამართლოს მომართვა, რათა განმარტებულ იქნეს, ბათილდება თუ არა შრომითი ხელშეკრულება დამქირავებლისა და დამქირავებულის შორის, უკეთუ უკანასკნელი უკანონო დათხოვნის შემდეგ დროებით მოეწყობა სხვა წარმოება-დაწესებულებაში. მომხს. ხანკალამოვი.

უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1927 წ. აპრილის 15 (ოქმი № 4 წერტილი 18) დადგენილების განსავითარებლად, უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ მუდმივ სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ დამქირავებულს, რომელიც შესულია დროებით ან სეზონის სამუშაოზე, არ ევარგება მისი წინანდელ მუდმივ სამუშაოზე აღდგენის უფლება.

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება, რომ განმარტებული იქნეს საკითხი—საბჭოთა კანონმდებლობის თვალსაზრისით დასაშვებია თუ არა სარჩელი უფლების ცნობის შესახებ, და ამასთან დაკავშირებით, რომ გადახინჯულ იქნეს უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1926 წლის 20—25 ოქტომბრის დადგენილება, გამოტანილი ყოფილ ოლქის სასამართლოს 1926 წლის 24—25 სექტემბრის დადგენილებაზე—საქმეზე ძიებისა გამო ამ-ბა-ა. ზ. მადათოვის რწმუნებულის პ. კალანტაროვის სააქციო საზოგადოება „გრუზინსკი მარგანეც“-თან მომხს. ი. სურგულაძე.

მიიღო რა მხედველობაში, რომ თანახმად სამ. სამ. კოდ. მე-2 მუხლისა, დავა სამოქალაქო უფლების შესახებ გადაწყდება სასამართლოს წესით, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი უფლების ცნობას ეხება, აშკარა არის, რომ მხარეთა შორის ადგილი აქვს დავას უფლების ცნობის თუ არა ცნობის შესახებ და ამიტომ ასეთი შემთხვევა სასეგებით მიეკუთვნება აღნიშნულ მუხლით გათვალისწინებულ დავათა კატეგორიას; რომ ამისათვის საჭირო არის მხოლოდ, რომ უფლება, რომლის ცნობასაც მხარე მოითხოვს, არ ატარებდეს საჯარო სუბიექტიურ უფლების ხასიათს, არამედ სამოქალაქო უფლებას წარმოადგენდეს, რომ ამიტომ დასმული საკითხი დადებითად უნდა იქნეს გადაჭრილი, რომ ამასთან დაკავშირებით ის, რაც უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1926 წ. 20—25 ოქტომბრის დადგენილებაში არის მოყვანილი, განიარაღებული ვერ იქნება; რომ სახელდობრ მითითება იმაზე, თითქმის ს. ს. ს. კოდ. 180 მუხლის თანახმად უფლების ცნობის შესახებ სარჩელის შესაძლებლობა საბჭოთა კანონმდებლობის თვალსაზრისით უნდა უარყოფილ იქნეს, უსაფუძვლოდ არის, ვინაიდან აღნიშნული მუხლის წინააღმდეგ იმ ერთად ერთი დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი, რომ იგი შეეხება არა ყოველ სახის სარჩელებს, სახელდობრ ისეთებს, რომლების საგანს ქონების ნატურად გადაცემა ან განსაზღვრული მოქმედების შესრულება შეადგენს. რომ აღნიშნულის გამო ზვეთი დასმული საკითხი დადებითად უნდა იქნეს გადაჭრილი, ხოლო უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1926 წლის 20—25 ოქტომბრის დადგენილება გაუქმებული. მოყვანილ მოსაზრებათა გამო და ადგილი აქვს განმარტებას ქვემოთადაც სასამართლოებს, რომ გარდა ისეთი სარჩელებისა, რომელნიც ქონების ნატურად გადაცემას ან განსაზღვრულ მოქმედების შესრულებას ეხებიან, შესაძლებელი არის, რომ დანიტრესებული პირის მხრით აღძრულ იქნეს სასამართლოში სარჩელი უფლების ცნობის შესახებ. უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1926 წლის 20—25 ოქტომბრის დადგენილება გაუქმდეს და ძალაში დარჩეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს 1926 წ. 24—25 სექტემბრის დადგენილება საქმეზე ძიებისა გამო მადათოვისა და ამხ. სააქციო საზოგადოება „ქართული მარგანეც“-თან.

გამომცემელი:

სამ. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვარძიელი. სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, ი. როინაშვილი, პ. როფ. შ. ნუცუბიძე, ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე.

„საბჭოთა საპარტიოს“ ხელისმომწერთა საყურადღებოდ რედაქცია უცხადებს:

- I. **სამაზრო სასამართლოებს:** დაახქარონ ჟურნალის საფასურში დღემდე მიღებული ფულის და ანგარიშების გადმოკვანა და აგრეთვე მომავალში რეგულარულად აწარმოონ ანგარიშები რედაქციის წინაშე.
- II. **პარსონალურ ხელისმომწერლებს,** როგორც ადგილობრივ, აგრეთვე მხარეებში, რომლებთანაც სრულად არ გადუხდიათ ხელის მოწერის საფასური: დროზე შემოიტანონ მათზე დაჩენილი დაუაღიანება.
- III. **სამთავიურ ხელისმომწერლებს:** ჟურნალ „საბჭოთა სამართალზე“ დაახქარონ ხელისმოწერის განახლება, ვინაიდან შეეძქსე ნომრის შემდეგ მათ შეუწყდით ჟურნალის მიწოდება.

საქართ. ს.ს.რ. იუსტსახკომის გამომცემლოგ

ი ბ ე ზ დ ე ბ ა

საქ. სოხ. საბჭ. რესპუბლიკის

სისხლის სამართლის კოდექსი

1928 წ. რედაქციით

წიგნი გაიყიდა სახელგამის ყველა მაღაზიებში და აგრეთვე მაზრის ცენტრებში
სახალხო მოსამართლეებთან. ბითუბად იუსტსახკომის
გამომცემლოგის საფუოგში.

შეკვეთით უნდა მიმართონ: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32, იუსტსახკომის გამომცემლობას.